

საქართველოს მუზეუმი

ნაწილი

F75

1920 №3 1920



№ III

მ ა რ ტ ი

მოსკვილთათვის

31/178
112

საქართველოს
საბჭოთავო მუზეუმი

ბრძანება

8 აგ 0 0 1920 წ.

№ 3.



ქაზახის გზა.



სურათი სოფლად.



აზაფხულის დილაა, ლამაზი, მშვე-
ნიერი.
ველ-მინდვრებს აცისკროვნებს ვარ-
დის ფერი იერი.
მოპქრის წელი ზეფირი, მღერის,
ტოკავს ფოთლები.
ამ ბუნების ფერბულში ფრთას შლის,
ხარობს სოფლები.
ვინ ქალებში გასძახის: ჰაუ, ჰაუ,
დელასა!

ვინ ხევ-ხუვში ყურს უგდებს ზვირთთა ჩუბჩუბ-ელერასა.
აგერ მწყემსი მთის კალითებს შეჭლილინებს ლალად ბედს,
არემარე მას უსმენს, ვით ტბის გული ამაყ გედს.

იქ მთესველი დღიურ ხნულს შესტრფის, ეალერსება,
მოღლილ სულის ფიალა ტკბილ ნექტარით ევსება.
შინ ქალები ბალღებით შეჭხარიან თვის კერას...
ვინ გამოსთქვამს იმათ დიად გრძნობა-განცდის სიმღერას,
ვინ შეპკონოს სიტყვები ტურფა და სამაისო?
თითქოს აქ იფურჩქნება ყოფნა სამარადისო.

მიშქრალი.





კონტრრევოლუციონერი.



ვეყნად ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადატრიალ-
გადმოტრიალდა, მაგრამ ღეთისიაანთ სვიმონას არა
ეშველა რა; ისევ ძველ შეხედულობაზე მტკიცედ იდ-
გა, თუმცა იმათ სოფლამდი არა თუ მენშევიკებმა,
თვით ბოლშევიკებმაც-კი მოაღწიეს, განსაკუთრებით
ჯარების დაშლის შემდეგ. სოფელი მასხარად იგდებდა,
როგორც ჩამორჩენილ კაცს, მაგრამ სვიმონა მაინც გულს
არ იტებდა.

— რა ვქნა, არ მესმის, არაფერი არ მესმის,— უთქვამს
ხშირად სვიმონას, — ღეთის მაღღმა, არა მესმის რა, თორემ ვინ
თაემკვდარი უარს რაზედმე იტყოდა!

სვიმონას ფიცი მართალი იყო: მას სოციალიზმისა და აჩე-
მებულ „ერთობისა“ არა გაეგებოდა რა. ხშირად გაიხედავდა მთე-
ბისკენ და გუნებაში იტყოდა: „ე ღმერთი ხომ ყველაზე ძლიერ-
რია, და რატომ მთა და ბარი ვერ გაასწორა, თუ კი ერთობა
შეიძლებოდაო?“ ან დაააწყვრდებოდა თავის ხელს და ბრძუ-
ლი თავის კანტურით იტყოდა:

— ე რაღა არის, რო ხუთი თითი მაქვს, და არც ერთი
არ არის სწორი? მე ვერა მეშველა რა, ე თითები ვერ გავა-
თანასწორე, და აბა ქვეყანას ვინ გასწორებს.

განა გასაკვირველია, თუ ასეთ აზრების გამო სვიმონას
არა თუ ჩამორჩენილ ადამიანად, კონტრრევოლუციონერადაც
მონათლავდნენ? აკი ასედაც იყო: პირველად

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
ბიბლიოთეკა



ბიკებმა აიგდეს მასხარად, რომელთაც თავი იმიტომ უნდა ეთქვას, რომ „კარნილოვის“ დატყვევებაში დიდი მონაწილეობა მიეღოთ, თუმცა „კარნილოვი“ მათ თვალითაც არ ენახათ და არც თუ ესმოდათ, რას ნიშნავდა კონტრრევოლუციონერობა. ეს სიტყვა პირველად მათ ჩამოიტანეს და სვიმონაც ამ სახელით მონათლეს. სვიმონამ ისე გაიგო, ვითომც კონტრრევოლუციონერობა გონებრივ ჩამორჩენასა ნიშნავდა. ამიტომაც ბევრს არას დარდობდა ასეთ სახელის გამოგონებაზე.

— ე კარგი კი გააკეთეთ, შეიღებო, — უთქვამს ხშირად, — ქვეყანას არგეთ რამე, უბედურებას ნუ გვაჩვენებთ და რაც გინდათ დამიძახეთ, მე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო. მე არ ვიჭურდებ, არ ვიძალებ, და თუ რამე „ტრაფი“ მჭონდეს გადასახადი, მითხარით — და ყაბული ვარ!

ეს კი მართლა ასე იყო: ხომ ყველა კონტრრევოლუციონერს ეძახოდა, მაგრამ შთელს სოფელში მომდურავს ვერავის გამოიყვანდით. სვიმონა ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. თვით მილიციონერებიც დიდად ემადლიერებოდნენ, განსაკუთრებით უფრო იმიტომ, რომ სვიმონასთან არა ერთხელ და ორჯელ უქეიფნიათ, თოხლივით დედლები დაუხოცინებიათ და მისი სადღევრძელო „მრავალეამიერთ“ დაუღევიათ.

— ჩვენი კონტრრევოლუციონერი ოქროა, ოქრო, რომ კონტრრევოლუციას არ ეწეოდესო, — ასე ამბობდნენ ახლად წვერ-ულვაშ-აბიბინებულნი სოფლის ბიკები, რომელნიც მუშაობაზე გულაყრილი იყვნენ, თოფ-განუმორებლივ დაქრწოდ-დასუნსულებდნენ სადმე ახალ-ახალ საქეიფო ადგილების აღმო-საჩენად...

* * *

სვიმონამ უფრო მას აქეთ დაქარგა რწმენა ახალთაობისადმი, რაც სოფელს ეწვია ის ის იყო ციხიდან გამოშვებული ნაყაჩაღარი პაქუ ურჯუმელაშვილი. მესამე დღეს ამ ვაჟბატონმა ცხენი მოჰპარა. სვიმონამ ცხენის კვალს მიაგნო და პაქუს სწორედ მაშინ მიასწრო, როდესაც ის ლამაზად გამოწყობილი და წითელ ლენტებით გულ-დამშვენებული მახლობელ ქალა-

ქში მიდიოდა. ერთმანეთს გამოეკამათნენ: სად მიგყავს, ბაქუ, ეს ხომ ჩემი ცხენია!

— ვინ გითხრა, რომ შენია? — შეუტია პაქუმ: — შენ ღმერთს მადლობა შესწირე, რომ დღემდე ცოცხალი ხარ და ძალისაყვით არ ჩაგკალი, როგორც კონტრევოლიუციონერი.

— რათა, რა დამიშავებია? თუ ცხენის თხოვება გინდოდა, გეთქვა, შე დალოცილელო, ცხენს როგორ დაგიქერდი. ე ჩუმიდ წაყვანა რალა ჯანდაბა და დოხანა არი.

— როგორ თუ ჩუმიდ? იქნებ ქურდობასაც მამბრალეებ?

— მე არ ვამბობ, იქურდე მეთქი, მაგრამ აგრე კი ვამოდის! პაქუმ თვალეები გადმოუქყიტა.

— რაო, რაო? შენ ქურდობასაც მამბრალეებ? მე კი არა, შენა ხარ, შენ, კონტრევოლიუციონერო, ქურდი, რომ ცხენი მიგყავდა და უნაგირი არ დამახვედრე! შენ არ იცი, რომ მე კამისრობა მომელის, დღეს უნდა ჩაეიბარო? რადგანაც კამისარი ვარ, მაშასადამე შენი ცხენიც ჩემია, უნაგირიც, შენი ბოსტანიც და სახლკარც! ახლა დამეკარგე აქედან, თორემ, თუ კიდევ სიტყვა ამოვიღია, სულ მათრახით გაგაძრობ ტყავსა!

სვიმონას ენა მუცელში ჩაუვარდა. თვალეი გულისკენესით გააყოლა პაქუს და გულში ხელისკემით დაიძახა:

— მ, დედას დაველიე! თქვენ უნდა ააშენოთ ქვეყანა? ფუ! ერთობა წყალსა და მეწყერსაც უზიდნია, რა ოხრად მინდა!

ამ დროს სვიმონა მართლა სწყრებოდა ქვეყნის უსამართლობაზე, თითქოს ახალი თაობა უფრო ქვეყნის დასანგრევად მოსულიყო, ვიდრე ასაშენებლად.

— ესაა ერთობა? პაქუმ სამართალი უნდა მომცეს? ფუ! ქვეყანა წახდარა, და ესაა!

* * *

ხომ ასე ჯავრობდა სვიმონა და თავზე ქოქოლას აყრიდა ურჯუმელაშვილს, რომელიც ასე ურჯულოდ მოექცა მას, მაგრამ ბოლოს თანდათანობით აზრი შეიცვალა: —

— იქნებ მთლად გავგიყდი, ყოველისფერი კარგად მიდის, და მე უკულმა მეჩვენებო? ასმა სულმა ცხვარმა ერთად რომ



შებდავლოს, ხეს გაახმობს! ახლა ცხვრები კი არაა, ხელები უნდა ვის, დიდი და პატარა ერთსა და იმავეს იმეორებს. სჩანს, რომ ჩამოვრჩი... სჩანს, მე და დაერჩენილვარ კონტრრევოლიუციონერი... უნდა მეც გამოვიცვალო... ძველი პატიოსნობა და სიღარიბისლე ყინულზე დაწერილი თამასუქი ყოფილა! საქმე ურჯუმელაშვილისებური ვაეკაცობა ყოფილა...

და შემდეგ მუშტის მოღერებით დაიძახა:

— და თუ ახალთაობა აეკაცობას ერთობას ეძახის, არა, რითი მჯობია ურჯუმელაშვილი? იმისთანებს ხუთს ერთად შეეკრავ ცალი ხელით... ვნახოთ, ვნახოთ!..

ეს დაქადება უქმი ტრიაბახი არ გამოდგა. განსაკუთრებით გული მაშინ მოუვიდა, როდესაც სამაზრო ქალაქში ურჯუმელაშვილი თავის ცხენზე გამოკანკლული დაინახა, უკან-კი მთელი წყება მილიციონერებისა მისდევდა.

— ასეთი რამ „ღრუბელნატარის“ დროს თუ მინახავს,— სთქვა გუნებაში სვიმონამ და უღლაშებზე ხელის გადასმით გამოეჩქარა შინისაკენ.

ჯერ ნახევარი გზა არც კი გამოეველო, რომ სვიმონამ მგზავრს თვალი მოჰქრა.

— ალალო და სამართალო, სადაც იყავ, იქვე დაჯექ!— სთქვა სვიმონამ და სიხარულით სახე გაუბრწყინდა: —სანამღვოსა ვდებ, ემ კაცს ფული ჰქონდეს...

სთქვა და ფეხს აუჩქარა. ორიოდ წუთში გაუთანასწორდა მგზავრს:

— გამარჯობა შენი!

— ვაგიმარჯოს!

— საიდან მოხვალ?

— ე ალაზან გაღმა ვიყავი, შინისკენ მივაჩქარებ...

სვიმონა წარბ-შექმუხვებით ხელეშში შეაკცერდა:

— შენ, ბიძია, ალბად უფულოდ არ იქნები...

— მე... მე...

— მგზავრი გაფითრდა და დაიბნა, სულ დაავიწყდა, რომ იარაღი წელს ერტყა და დამცემი კი უიარალოდ ფულს ედავებოდა. ისევ გაქცევით თავის შველა ამჯობინა.

— სადღა მიხვალ, სად? — დასკვივლა გაგულისებულმა მონამ, წამოეწია უბედურ მგზავრს და კისერში ერთი შემორტყმით წამოაგორა და ქვეშ ამოიღო.

— ღვთის გულისათვის, ცოლშვილის პატრონი ვარ, ნუ მომკლავ და წაიღე, რაც რამ მაბადია...

სვიმონამ ჯერ ხანჯალი ახსნა და შემდეგ ისევ ფული დააძალა:

— აბა, ამოიღე ფული... ჩქარა, თორემ კისერს წიწილასავით წაგაგდებინებ...

მგზავრმა უბეში ხელი ჩაიღო და კანკალით დაქმუქნული ოკუდასუთ-თუმნიანი ამოიღო.

— აი, სულ ესა მაქვს... ნუ მომკლავ...

სიმონამ უგემურად შუბლი შეიკრა.

— შენა და შენს თავსა! წაეთრიე და თვალით აღარ დამენახეო! შე უსინიღისო, დღევანდელ დღეს როგორა ჰბედავ ასეთი მცირე ფულით მგზავრობას? წადი და სხვა დროს ათასიანები გამოატარე, თორემ ცოლშვილიანად ამოგწყვეტ!..

თანაც უდიერად წიხლი ამოჰკრა ვასტუმრების დროს. მგზავრს უკან არ მოუხედნია, დათვსავით აძუნძულდა. იმას ის უფრო უხაროდა, რომ ვიღაც სულელი ყაჩაღი დახვდა, უბე არც კი გაუშინჯა, სადაც ის-ის იყო გაყიდული ცხვრის ფული, ათას თუმნამდე, წითელ ხელსახოცში გახვეული ედო. სვიმონა კი ისე გამოეშურა თავის სოფლისაკენ, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქლამნადაო. ამაყს და გულზვიადს ერთ — გვარი ბედნიერების სიმთვრალე ეწვია, ტყავის ქუდი უკან გადაეგდო და თან ჩამორთმეულ ხანჯლის ტარს ამაყად ატრიალებდა, თითქოს ცასა და ქვეყანას იმას ეუბნება, რომ ამ იარაღის ტარების ღირსი მე უფრო ვარ, ვიდრე ის აძუნძულებული მზღალი დათვია.

* * *

შინ რომ მივიდა, სვიმონამ მხიარულად დაიძახა:

— მაია, ქალო, მაია, აბა დღეს ერთი კაი სადილი უნდა გამიმართო „სამაღარიჩოდ“.



ქართული
ლიბრერი

მაია სიხარულით კარზე გამოიჭრა.

— საკაბე ხომ არ მიყიდე, გენაცვალე?

— რის საკაბე, ქალო, რა საკაბე! შენ უკეთესი სთქვი, უკეთესი! შე ისეთა რამ ჩავიდინე, რომ დღეს არა, ხვალ კამისრობას მომცემენ!.. დამაცა!..

ქალის ცნობის-მოყვამრობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ სვიმონამ შეუტია:—

— რა შენი საქმეა, ჰა! გეუბნები, უნდა მაჭეიფო-მეთქი!

მაიამ უგებურად ტუჩი აიკრა, მაგრამ მაინც ორი კარგი დედალი დაჰკლა, ერთი ჩიხირთმით გააკეთა, მეორე ჩახობა, თანაც მახლობელ დუქნიდან ხელადით ღვინო მოუტანა. სვიმონა კი სულ ღლინებდა. მანა იმდენად არ ჰქონდა აშლილი, როგორც ქიკიკი უნდოდა. სოფლის ორი მოთავე ბიჭი მოიყვანა და იმათთან დაიწყო ტრაბახი.

— მაია, შენ კარში გადი, საიდუმლო მაქვს...

მაია გაბუტული გავიდა, თუმცა დერეფანიდან ცნობის-მოყვარე ყურსა და თვალს არ აშორებდა მოჭეიფებს. ხელადა ხელადას მოჰყვა, შეკითხვა ბევრი იყო, მაგრამ სვიმონამ არ იქნა— და თავს ვერ დასძალა:—

— მე თქვენი ძმობა ნუ მომიშალოს ღმერთმა, მე... მე ისეთი საქმე ჩავიდინე, რო... რო... მაგრამ ხვალისთვის იყოს, გენაცვათ, ხვალისთვის...

მოწვეულები განცვიფრებით სვამდნენ და არ ესმოდათ, თუ მაინცა და მაინც რად დაუძახა სვიმონმა. ტრაბახი კი იქაც დიდი იყო: „მე ისეთი რამ ჩავიდინე, რომ ურჯუმელაანთ ბიჭი შოვა და ხელზე მაკოცებსო!“

როცა ქეიფი გათავდა და ყმაწვილები დაიშალნენ, მაიამ უთხრა:—

— ლოგინი გავშალო?

— მერე როდის ვითხარი უარი...

— არა, მაგრამ...

— მაგრამ!..

გააწყრს სრულად უმიზეზოდ სვიმონა:—

— რაო, ვითომ რაო!.. რასა წიწინებ, ქალბატონო კამისრის ცოლობა გინდა, უნდა¹ ყურმოჭრილი ყმა გახდე ჩემი... ჰმ! მიწყურება კიდევ, საკაბე რატომ არ მომიტანეო! ავიწყდება, რომ კაბები ახლა მხოლოდ კომისრის ცოლებისთვის იქსოვება და ყოველივე სიკეთეც იმათთვის არის! ჰოდა, თუ ასეა, რატომ არ გასურს გამოვიანო?

— მე... მე ხომ არა მითქვამს რა... მე...

დაიწყო თავის მართლება საცოდავმა ქალმა.

— ჩუმად, ჩუმად, ხმა ჩაიკმინდე! რა შენი საქმეა ლაპარაკი? როცა კამისარი შენს წინა დგას, მუხლი მოიყარე! ან რას მიყურებ? ჩაევდე ლოგინ ში და დაიძინე... კვლავ როდის ყოფილხარ აქნობამდინ? დაწეჭი შეთქი!..

მაია უსიტყვოდ დაწვა ლოგინზე, თავზე საბანი წაიფარა და ცრემლებს აუწერელი ძალ-დატანებით იკავებდა. სვიმონა კი კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩა ზეზე, კარები მაგრად ჩაჰკეტა, ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა და, სანათის გვერდზე ჩამომჯდარი, აცახცახებული ხელით უბიდან ამოიღებდა ოცდახუთ-თუმნიანს, გადაატრიალ-გადმოატრიალებდა და ისევ მალვით უბეში იდებდა. მხოლოდ გვიან მოახერხა წამოდგომა, ფარფატით სკივრთან მივიდა, ხანჯალი შიგ ჩაჰმაღა, გასაღები მასრის ბუდეში ჩაიღო და ასე გაუხდელი, გულზე ხელ მიბჯენილი ტახტზე წამოეგდო და მშფოთარე ხერხევა ამოუშვა.

* *

სვიმონა მარტო იმ ერთ ღამით როდი გაეწამა. მთელი კვირის განმავლობაში სულ დუქნის კარზე ეგდო, მუდამ დღე თვრებოდა, თავის ფულს ხარჯავდა, მაგრამ ნაძარცვი კი ვერ მოეხმარებინა, ვერც ვისთვისმე ეჩვენებინა. ყველას უკვირდა მისი ასეთი საქციელი, ჰკითხავდნენ — რა გემართებაო, მაგრამ ნამდვილს არავის ეუბნებოდა. ისე კი ბალიშისპირიდან აბეული წითელი ჩვრის ბანტი გამოეკრა და ყველას ამაყად მხოლოდ ამას ეუბნებოდა: —

— შეხედეთ! მეც თქვენთანა ვარ, ბიჭებო, მე კონტრრევოლუციონერი აღარა ვარ...



ერთი კვირის შემდეგ სვიმონამ მტკიცედ განაწესებულ ასულიყო ურჯუმელაშვილთან და, როგორც გაგებულ კაცისთვის, მისთვის ყოველისფერი გულახდილად ეამბნა. თანაც წინასიტყვაობის მაგიერ უნაგირი წამოიკიდა, რომ ურჯუმელაშვილის საყვედურიდან ერთხელ და სამუდამოდ ამოსულიყო.

პაჭუ ურჯუმელაშვილი ცოტა გადაკრული დახედა და თითქოს არც იუცხოვა უნაგირის მიტანა.

— ძალიან დამიგვიანე, კონტრევილიუციონერო, ეს უნაგირი, მაგრამ არა უშავს რა, — უთხრა მან. — სხვა? თუ მადლობის მოლოდინში ხარ, მიბრძანდი ისევ, მაგვებისთვის არ მცალიან... კონტრევილიუციონერებს თავს არა დროს არ გავუყადრებ... სვიმონას სისხლი მოებჯინა ყელში: —

— მე... მე სრულიადაც არა ვარ კონტრევილიუციონერი! — წაილულულა მან, მაგრამ ურჯუმელაშვილმა ვერ გაარჩია მისი ნათქვამი.

— რაო? რა გინდა სთქვა?

— მე... მე ის უნდა მეთქვა, რომ... რომ...

— სთქვი, ნუ გეშინია...

— მე კონტრევილიუციონერი აღარა ვარ... უკვე ერთი მგზავრი გავძარცვე... აი, აქა მაქვს ეს ოცდახუთ-თუმნიანი და მისი ხანჯალი... სულ ამ გვერდსა მწვავს, სადაც მიძევს... წაიღეთ, ლეთის გულისათვის, მომაშორეთ... მაგრამ კონტრევილიუციონერი აღარა ვარ... სულ უფიარლო ვიყავი... კისერში წავეკარი ხელი და ისე დავცი... შემდეგ ამოიღო და მომცა... ეს ხანჯალიც მაშინ აეხსენი...

პაჭუ ურჯუმელაშვილი თვალეზ-დაქყეტილი შეჰყურებდა: ასე ეგონა, — სვიმონა გაგიჟდაო. სვიმონაც ახლა თავისუფლად სუნთქავდა. როცა ოცდახუთ-თუმნიანი და ხანჯალი მოიშორა, ისე იგრძნო, თითქოს მთელი ქვეყნის ტვირთი ჩამოხსნეს მხრებიდანო; ამიტომაც მზიარულად შეჰყურებდა პაჭუს.

— მაშ ეს შენი ნაძარცვია? — იკითხა როდის, როდის გონზე მოსულმა პაჭუმ და თან გუნებაში ჩაიკინა: „ეს კაცი ყაჩაღობაშიც კონტრევილიუციონერობას თავს არ ანებებსო“. — შემდეგ ხმა-მალლა იგივე კითხვა გაუმეორა: —

— ეს შენი ნაძარცვია?

— დიაღ, ჩემია... ისიც უთოფოდ... ცარიელი-ტარიელი ხელით...

პაქუმ ოქმის შედგენა დაიწყო, თანაც უბძანა მილიციონერებს, რომ „კონტრრევოლუციონერ-დამცემისთვის“ მათრახები მიეყოლებინათ და თბილისში წაეყვანათ „ვირების აბანოში“ მოსარჯულებლად.

— ე ვირების აბანო რალა არის?— იკითხა სვიმონამ.

— როცა მეტეხის ციხეში მიგაბძანებენ, იქ გაიგებ...

სვიმონას მათრახების სიმწვავემ სულერთიანად გაუარა ციხის გაგონებაზე. ახლა-კი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ იქიდან დაბრუნებული ნამდვილი კამისარი გახდებოდა და თავის ცოლს დანაპირებს აუსრულებდა.

— ჩემო მია, მიყურე, მიყურე... სიზმრები აგიცხადდება... გამომიშვებენ, მოვალ და კამისრის ცოლს სულ ზიზილ-პიპილებით მოგრთავ! ოღონდ მაცადე, მაცადე, რომ ციხიდან დროზე გამოვიდე...

* * *

როცა სასამართლოს წინაშე წარადგინეს, სვიმონა ამაყად აიმართა. ყველას უკვირდა მისი რიზიანი და მემამიტი კილო. მას თითქოს თავიც მოჰქონდა, რომ ცარიელი ხელით გაძარცვა ხანჯლიანი მგზავრი.

— მერე, რამ გაიძულა, რომ გაძარცვე? გიკვირდა, თუ?

— როგორ თუ მიკვირდა, — ამაყად უპასუხა სვიმონამ: — ღმერთმა ისიც შეარცხენოს და მისი ოცდახუთ-თუშნინანი! თუ გნებავთ იმასაც და თქვენც წლითი წლოზამდინ გარჩენთ. პურს არა ვყიდულობ, ქათამს და ღვინოს...

— უცნაურია! ალბად ჯავრი თუ გკვირდა!

— რის ჯავრი, ბატონო, თვალითაც არ მინახავს: გზად შევხვდი და მეტი არაფერი...

— მაშ რად გაძარცვე, რად?

— რომ დავეუმტკიცო ქვეყანას, რომ კონტრრევოლუციონერი არა ვარ...



მოსამართლეებმა პირი დააღეს.

— რაო?

— განა ურჯუმელაშვილის კაცის მკვლელობისთვის და ჩემი ცხენის ქურდობისთვის არ მისცეს კამისრობა? მე იმაზე რა ნავლები ბიჭი ვარ? მკლავი მაჭვს და თვალიც მიჭრის... აი, როცა ციხიდან გამოვალ და კამისრობას მომცემენ, ზოგი მაშინ მნახეთ, როგორ ქვეყანა მარჯენივ და მარცხნივ დავანიავო...

მსაჯულებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და უფრო დაწვრილებით გამოჰკითხეს. სვიმონამ გულ-ახლილად ყოველისფერა უამბო, თუ რად უძახდნენ კონტარევიოდიუციონერს, როგორ და ან რად ჩაიდინა ყაჩაღობა.

მსაჯულებმა გამოძიება დასრულებულად ჩასთვალეს და განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გავიდნენ. სვიმონა მოთმინებით ელოდა მათ მსჯავრს, გულწრფელად სწყუროდა, რომ მეტეხის ციხეში ჩაჯდომა მიესაჯათ. მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც განაჩენი საჯაროდ წაკითხულ იქნა, რომლის ძალითაც სვიმონი გამათლებული გამოვიდა, ხოლო განაჩენის საგანგებო დამატებასავით ბძანება გაიქცა, რომ სვიმონ ღეთისიაშვილის ადგილას პაქუ ურჯუმელაშვილი წარმოედგინათ.

დ. კასრაძე.





გაზაფხული.



ელ-მინდვრებმა, მთებმა, ხევმა —
მწვანე კაბა შეიკერეს,
წყლებმა, მთებით მონარხევემ,
ტალლა მტვრევით ააჩქერეს;

ლურჯ ხავერდზე ყვავილებმა
ეშხით ყელი მოიღერეს,
ცის ცრემლებმა, ბროლის თვლებმა
მათ ლოყები დაუფერეს;

ჩემ შრიალით ნორჩ ფოთლებმა
ცელქი სიო აამღერეს,
და ჩანგური ფრინველებმა
ხმა-შეწყობით ააეღერეს...

აჰა, ტყემლებს ნორჩი ტოტი
ხშირ ყვავილმა დაუმძიმა,
შიგ ნი:ვმა ფრთა დარია —
—წამოვიდა თეთრი წვიმა;

აყვავილდა იქ ალუჩა,
გაიფურჩქნა აქ კერამი —
—წარმტაც, თეთრი თმა-ქუჩუჩა!...
...ეინ იხილოს მსგავსი რამე?...

ვერ მოვსწყვიტე ატამს თვალი,
მზიბლავს ლალის ყვავილები...
აგერ კომში, ალუბალი...
აგერ ვაშლი, იქ კი მსხლები!..

ყველა თეთრად გაფიფქულა,
ყველა თეთრად გაპენტილა!..
რა ლამაზად მოკაზმულა
ლალ ბუნების ნაზი დილა!..

წითელს, ყვითელს, თეთრს, ჭრელ პეპლებს
ფერხული აქვთ გამართული,
ჰა, ფუტკარიც! რბილ ზუზუნით
დაჰფრენს ისარ-მომართული,

და ყვავილებს ხან იქ, ხან აქ
ფრთხილად ყურში ჩაუძვრება, —
ყვითელ მტვერით ტანს იგინგლავს,
ტკბილი წვენით დაითვრება.


გაზაფხულდა! ვიშ, გაზაფხულს,
ნეტავ, თუ რამ შეედრება?!
მთა და ბარის ტკბილ სუნთქვას ვგრძნობ,
სიცოცხლეა, ნეტარება!!

ი. სიხარულიძე.





ქართლის ტრაგედია.



ეჩაქის მგზავსი ფარდა ოდნაე ფრია-
ლებდა. მისი შრიალი და ზოგჯერ
უცნაური მოძრაობა იქაურობას ისეთ
ნაირად ევლინებოდა, თითქოს სული-
ერი არსება, ნაზი როგორც ის მოძრა-
ობა დაუსვენებლივ და ისე ფრთხი-
ლად საქმიანობს, გეგონებათ ძლიერ

ეშინიან უკვე ჩაძინებულ ძვირფასს არსებას ტკბილი ძილი არ
დაურღვიოსო.

პირბადე ახვეული მთვარე ვერცხლის სხივებით ყურადღე-
ბით დასჩერებოდა იმ არე-მარეს; იგი თითქოს თვალებს არ
უჯერებსო, პირბადეს ხან უეცრად მოიგლეჯდა და გაორკეცე-
ბულ ნათელით იქაურობას უცნაურად შეაშუქებდა, ხან ისევ
მოქანცულივით მიიბნიდებოდა და ფერმკრთალი სხივით შრავალ
აღგილს უკვე ფარდებ ახდილ სცენებს ესალმუნებოდა...



ეტყობოდა, რომ იმ ადგილს დიდი და მძიმე ტრაგედია სწარმოებდა. აგერ ოთახი: შუა ადგილას მაგიდას სკამები ისე უსწორ-მასწოროდ შემომწყვრიებიან, თითქოს ეს, ეს არის მზიარულად აშლილ ხალხს თავი მხოლოდ დროებით დაუნებებიით და მეორე ოთახში გასულან, რომ მალე უკანვე დაბრუნდნენ. ქურჭლის მალალი კარებიც ღიაა; მთვარის შუქზე ქურჭელს ბზინვა გაუდის და ზოგჯერ კიდევ ისე წკრიალებს, თითქოს უჩინარი და ფრთხილი ხელი იქაც ნაზად მუშაობსო.

მაგიდაზე თევზით ვაშლის ქერქები მოსჩანან. ქურჭლის წკრიალს კედლიდან ჩარჩოიანი სურათი რითმიული რაკა-რუკით უპასუხებს. ამ დროს მეორე კედელზე დაკიდებული გიტარაც ისე წყნარად, ისე ღრმად დაიწყრიალებს, რომ ყველას ერთნაირად მოჰგვრის; თითქოს რაღაც შორეულ წარსულს, უცხოს და მშვენიერს ქვეყანას თვალ წინ ერთ წამს ფერადებით დაგიხატავთ ლა ისევ ნელ-ნელა მიჰქრება.

არსად არაინა სჩანს და დიდი, ძლიერი მოქმედება კი სწარმოებს. აგერ, ფარდა კიდევ ოდნავ აფრიალდება, გიტარა უცებ გულ საკლავად აწყრიალდება, სადმე მიწა დაიშრიალებს, შემდეგ ციებ-ცხელებიანივით ირგვლივ ყველას გაათრთოლებს; თრთოლას საზარელი ბლუილი თან დაერთვის და მრავალ ადგილას ახდის სცენაზე საშინელი გრგვინვა-გრიალის შემდეგ სქელი მტერის ფარდა ყველაფერს უმაღ დაჟფარავს და მით მოქმედება კიდევ შესწყდა. ისმის მქუხარე ტაში გადმოწოლილ ქვა კედლებისა, სადღაც ობლად საზარელი ხმით შორით ვილაცა გაიკასკასებს, მას ძაღლის გაბმული ყმული მოჰყვება და შემდეგ არე-მარე, თითქოს ამ პიესით გაოცებული უმაღ ხმას გაჰკმენდს და გაუფრდება.

მხოლოდ მთვარე ამ დიდებულად შესრულებულ მოქმედებას გასაოცარი სინანით ზემოდან დასჩერებია და მტკვარი კი გულ ჩათბრობილი დინჯათ გაიძახის: ამ პიესას ქართლის ტრაგედია ჰქვია.





ლურჯი ფრინველი

სურათი მესამე. — მოგონების ქვეყანა.

ბურუსი. მოსწონს მსხვილი მუხის ძირი. ზედ ქალღვდა წარწერით.
სტენა განთუბულად რძისვერი, გაფხტული, ბუნდოვანი მუქით.
ტიღტაღ და შიტაღ მუხასთან დგანან.

ტიღტაღ. — აი ეს ხე უნდა იყოს...

შიტაღ. — ჰო... ნახე—წარწერაცა აქვს...

ტიღტაღ. — ვერა ვხედავ... დაიცა, ტოტზე შევდგე. აქა
ყოფილა, ზედა სწერია: „მოგონების ქვეყანა!“...

შიტაღ. — აქედან იწყება მოგონების ქვეყანა?!...

ტიღტაღ. — უეჭველია, აგერ ისარიც გვანიშნებს...

შიტაღ. — მაშ ბებია და პაპა სადღა არიან?

ტიღტაღ. — აღბად ნისლი ჰფარავთ. ახლავე ენახავთ...

შიტაღ. — მე ვერასა ვხედავ, ჩემს ხელებსაც კი ვერა ვხედავ...

(ტიარდაით) მკივა, მოგზაურობა აღარ მინდა. შინ
წვიდეთ.

საქართველოს
პარლამენტის
ქართული
ბიბლიოთეკა

73817



- ტილტილ. — წყალისა არ იყოს, შენ სულ სტირი... არა, გრძობა...
 ნია, მაგოდენა ქალი ხარ... აი, შეხედე — ისლი
 გაიფანტა... ახლავე დაეინახავთ ყველაფერს...
 (მართლაც ჩისლი გაიფანტება. აქურობა თანდათან
 გაიწმინდება და კანთადება. ბოლოს გამოჩნდება შვე-
 ნეზე ჰეტარა, მხარული, გლეხური სხლი, შემოსილი
 შვენიით. ფანჯრება და კარება და აქვს. მისჩანს გე-
 ჯეა, ყვავილება, კალია, რომელშიაც ჰაშს სისხავს,
 და სხვა. კარებთან, გქელ სკამზე, სხედან ზაზა-ტილ და
 ბეზა-ტილ; თრსავე შესაფერი, გლეხური ტანისმოსი
 აცვით და ღრმ ძიღში არიან. ტილტილი, დაინახავს
 თუ არა, იმ წამსვე იცნობს). აგერ ჰაზა და ბეზია...
- მიტილ. — (სახარულით ტაშს უკრავს). — ჰო, ჰო, ჰო, ისინი
 არიან...
- ტილტილ. — სოტა კიდე დავიკადოთ, ვნახოთ-გაინძრევიან თუ
 არა... ფრთხილად... მოდი ხეს ამოვეფაროთ.
 (ბეზა-ტილ თვალებს გასუქვს, თავს ასწევს, აზმოიკება,
 ამთიოხრებს და გადაჭხედავს ზაზა-ტილს. ესეც ნელ-
 ნელა გამოიღვიძებს)...
- ბეზა-ტილ. — შე მგონია დღეს ჩვენი სოცხალი შვილიშვილები
 გვესტუმრებიან; ღონე მომეცა და ფეხებში ერუან-
 ტელმა დამიარა...
- ზაზა-ტილ. — არა, შორს არიან, თავს ჯერ ისევე სუსტადა
 ვგრძნობ...
- ბეზა-ტილ. — გეუბნები — ახლოს არიან-მეთქი, ღონე მომეცა...
- ტილტილ. — } (ერთად) აქა ვართ, ჰაზავ, აქა ვართ, ბეზია...
 მიტილ. — }
- ზაზა-ტილ. — ხომ ჰხედავ?... წელან აკი გითხარი -- დღეს მოვლენ-
 მეთქი...
- ბეზა-ტილ. — ტილტილ, მიტილ, თქვენა ხართ, შვილებო?... ჰო,
 ჰო, ისინი არიან... (სცდილობს გაიქცეს მისაკუბლად).
 აბა რა ვქნა, რომ სირბილი არ შემიძლია, ქარები
 მაწუხებს...



მამა ტად. — (წამოადგება, კაჭდობს). — არც მე შემიძლია სიბრძნე, ხის ფეხი მიშლის; მაშინ მუხიდან რომ ჩამოვვარდი და ფეხი მოვიტეხე...

(ბებია-ტად, მამა-ტად და ბავშვები ერთმანეთსა ჰკოცნაან.)

ბებია ტად. — როგორ გაზდილობარ და დაეცეკაცებულხარ, ჩემო ტიტტილ...

მამა ტად. — (მატადის თმს ეაჯერსება.) — შეჰხედე, ერთი, რა მშვენიერი თმა, რა ლამაზი და კეთილი თვალები აქვს...

ბებია ტად. — მოდით, მუხლებზე დამისხედით, შეილებო, მოდით... (ერთმანეთს ჰკოცნაან.)

მამა ტად. — მე? ჩემთან ვილა მოვა?..

ბებია ტად. — მოიცა, ჯერ მე დავტკებ ამათი აღერსით... დედა და მამა როგორ არიან?..

ტადტად. — ძალიან კარვად, ბებია-ჩემო. ჩვენ რომ წამოვედით-ეძინათ.

ბებია ტად. — (აჯერსით და სიყვარულთა შესტკერის ბავშვებს) — რა კარგები არიან ეს გერიტები!.. რა სუფთები არიან!.. პირი დედამ დაგბანათ?.. წინდები დახეული ხომ არა გაქეთ?.. წინად მე გიქსოვდი ხოლმე წინდებს... რატომ უფრო ხშირად არ მოდიხართ, ხომ იცით-თქვენი ნახვა ყოველთვის ძალიან გვესიამოვნება... მოიცა, მოიცა, უკანასკნელად აქ როდის იყავით, ვახსოვთ? ყველაწმინდათა დღეს, ეკლესიის ზარს რომ ჩამოჰკრეს.

ტადტად. — ყველაწმინდათა დღეს ჩვენ აქ არა ვყოფილვართ... მაშინ ავად ვიყავით...

ბებია ტად. — აქ არა ყოფილხართ, მაგრამ ხომ მოგვიგონეთ...

ტადტად. — დიალ...

ბებია ტად. — პო და, ყოველთვის, როცა-კი მოგვიგონებთ, ჩვენ გამოგვეღვიძება ხოლმე და გხედავთ...

ტადტად. — როგორ? ვანა საკმარისია, რომ...



- ბუბია ტაღ. — ვითომ არ იცის!..
- ტაღტაღ. — არ ვიცი, მაშ...
- ბუბია ტაღ. — (ხაზს.) — საკვირველია, იქ ზევით ჯერ არ იციან... არ ასწავლიან...
- ხაზ ტაღ. — ჩვენ დროსაც განა ესე არ იყო?.. კოცხლები სულელები არიან, როცა მიცვალებულებზე ლაპარაკობენ...
- ტაღტაღ. — თქვენ ყოველთვის გძინავთ?..
- ხაზ ტაღ. — გძინავს იქამდის, ვიდრე ვინმე კოცხალი არ მოგვიგონებს.. როცა სიკოცხლე დასრულდება, ძილი კარგია!.. მაგრამ ხანდისხან გამოღვიძებაც სასიამოვნოა...
- ტაღტაღ. — მაშ მკედრები არა ხართ?
- ხაზ ტაღ. — (ღამიღამით) — რაო? რას ამბობ?.. ეგ რა სიტყვა სთქვა, ვერ გავიგე... ეგ რა, ახალი შემოდებული სიტყვაა?..
- ტაღტაღ. — რომელი, სიტყვა „მკედარი“?..
- ხაზ ტაღ. — ჰო, მგონი ეგ იყო. რას ჰნიშნავს?
- ტაღტაღ. — „მკედარი“ ჰნიშნავს, რომ ადამიანი კოცხალი აღარ არის...
- ხაზ ტაღ. — ღმერთო, რა სულელები არიან მაღლა...
- ტაღტაღ. — ეს ჭეყანა კარგია?..
- ხაზ ტაღ. — არა უჭირს-რა, არა უჭირს-რა... არის... მხოლოდ არა ლოცულობენ...
- ტაღტაღ. — მაშამ სთქვა-ლოცვა საჭირო აღარ არისო...
- ხაზ ტაღ. — არა, ლოცვა საჭიროა... ადამიანი როცა ლოცულობს, თავისი თავი აგონდება...
- ბუბია ტაღ. — ყველა კარგი იქნებოდა, თქვენ რომ ჩვენ სანახავად ხშირად გველოთ.. გახსოვს, ტილტილ, უკანასკნელად მე რო ვაშლის ძეხვი გამოვაცხე?.. შენ იმდენი ჭამე, იმდენი ჭამე, რომ ავად გახდი...
- ტაღტაღ. — ვაშლის ძეხვი შარშანდელს აქეთ არ მიჭამია, წრეულს ვაშლი არ იყო...



ბუბა ტად. — რას ამბობ, აქ ვაშლი ყოველთვის არის... ზინჯირი...

ტად ტად. — აქ და იქ სულერთი როდია...

ბუბა ტად. — როგორ თუ სულერთი არ არის... სულერთი რომ არ იყოს, ერთმანეთს ხო ვერ ვაკოცებდით?!



ტად ტად. — (შეჩქვადეს ხან ზამარს ხან ბუბას.) — შენ სრულიად არ გამოცვლილხარ, პაპა-ჩემო, არც შენ, ბებია-ჩემო... უფრო გალამაზებულხარო...



- მამა ტად. — ეჰ, არა გვიჭირს-რა, არა გვიჭირს-რა... ზევნ აქ აღარ ვბერდებით... თქვენ-კი ძალიან მალე იზღებით... აი იმ კარს ხომ ჰხედავ?... უკანასკნელად რო მოხვედით აქ, მაშინ დაენიშნე-რა სიმაღლისანიც იყავით... ეს ყველაწმიდათა დღეს იყო... სწორედ დაღეკი. (ტიღტიღ კარებთან აუუუღება.) ოთხი თითის დადება მოგმატებია... ვეებერთელა გამზდარხარ... (მატიღაღ კარებთან აუუუღება). მიტიღს კიღვე ოთხ ნახევარი თითის ოღენა მოჰმატებია!.. როგორ გაზრდიღხართ, როგორ გაზრდიღხართ!..
- ტიღტიღ. — (სიამოღწებათ იუღრება გარჰეღმა.) — ყვეღა ისეღ ისეღ, როგორღ იყო, ისეღ ისეღ ლამაზად, რიღზე... აი საათიღ, რომელსაღ ისარის წვერი მოვამტერიღე...,
- მამა ტად. — ეს საწვენე-კი აღარ გახსოვს?... აი ეს ჸენგანაა მოგრეღიღი...
- ტიღტიღ. — (კარებზე ჸწვენებს) — აი ის აღღიღიღი, მე რო გავზერიღტე, კიბრუღტის გაკეთება რო მიღნღოღა.
- მამა ტად. — მავისთანეღი ვავიღუღტებია ჸენ აქ!.. აი, ეს ქლიავის ჸე გავონღება? რომ აიპარეღბოღი ხოღმე, როცა მე სახღღში არ ვიყავი?... ისეღ ისეთი მწვენიერი ქლიავი ასხია...
- ტიღტიღ. — ახღა უკეთესია, უკეთესია...
- მატიღ. — აი ჸაღეღიღ... წინანღებურად აღარა გაღღობს? (მაღეღი გამოაღღეღებს. და მღღაღი სმით გაღღობს).
- ბებია ტად. — აგერ თუ არა გაღღობს... როცა მოიღონებს, ვინმე, იმ წამსეღ იწყებს გაღღობას.
- ტიღტიღ. — (მაღეს ჸეღწეღავს და სასტად დაღწება, რაღგან ჸაღეღი სრუღდაღ ღურუღა). — ლურღი ყოღელია? ეს არის ის ლურღი ფრინვეღი, ფერიამ რო დამაღვაღა — მომიყვანეღო. რატომ აქამღის არ მიღთხარით, რო ლურღი ფრინვეღი გყავღათ?... ოჰ, როგორი ლურღია, როგორი ლურღი!.. ისეთი ლურღია, როგორღ

ცა... (მუდარია), ბებილო, პაპა, ეს ფრინველი მე მომეცით...

პაპა ტიღ. — კარგი, კარგი, ვნახოთ... (ეპება ტიღს) პა, შენ რაღას იტყვი?

ეპება ტიღ. — მივცეთ, მაშ ჩვენ რად გვინდა?.. ძილის მეტს აქ რას გვიკეთებს?..

ტიღტიღ. — მომეცით, ჩემს გალიაში ჩავსვია!.. ბიჭოს, გალია სად არის? ჰო, მართლა ხის ძირას დამარჩა. (შიაბ-ბენს, გალიას შიატანს და შიგ მასეს ჩასვამს) მაშ მა-ჩუქეთ, მაჩუქეთ?.. აღარ წამართმევთ?.. ფერიას და სინათლეს როგორ გაუხარდებათ!..

პაპა ტიღ. — წართმევით-კი არ წაგართმევთ, მაგრამ შეიძლება იქაურ ცხოვრებას ველარ გაუძლოს და ისევ აქ დაბრუნდეს. ასე რომ მე ნუ დამემდურები... ახლა წამო, ძროხა ვნახოთ...

ტიღტიღ. — (გუქებს მოქრავს თვალს). — პაპა, ფუტკრები როგორ არიან?..

პაპა ტიღ. — კარგად, კარგად... მართალია, წელანდელი შენი თქმისა არ იყოს, ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მაინც მუშაობენ...

ტიღტიღ. — (გუქებს მიუხადავდება). ეტყობათ მუშაობენ... თაფლის სუნი მომდის!.. რა ლამაზი ყვავილებია!.. ჩემი დები, რომელნიც დაიხოცნენ. ისინიც აქ არიან?

მატიღ. — პატარა ძმები რომ დავმარხეთ, ისინი სადღა არიან?.. (ამ სატყვებზე სხლიდან გამოვლენ სხვა-და-სხვა ტანის ბავშვები.)

ეპება ტიღ. — აგერ, აგერ, როგორ მორბიან... ახსენებ თუ არა, იმ წამსვე გაჩნდებიან ხოლმე... (ტიღტიღ და მატიღ ბავშვებს მივარდებიან, ერთმანეთსა ჰკოცნიან, ხტუნაობენ, ხმაურაობენ და სხვა.)

ტიღტიღ. — გამარჯობა შენი, პიერრო... (ერთმანეთს თმაშა ხელს წაავლევენ). მოდი წინანდებურად ვიჩხუბოთ. გა-



- მარჯობა შენი, რომერ, ეან, ბზრიალა აღარა გაქვს?... აგერ მადლენაც, პოლინ, პიერეტ, რიკეტ...
 შატალ. — ოპ, რიკეტ, რიკეტ, ისევ ისე დაუკოცავს, როგორც წინად...
- ბუბია ტილ. — აქ ვინც არის, აღარ იზღვება ხოლმე...
 ტილტილ. — (შატალა ძაღლს მოჰყარავს.) — კიკის ვერ უყურებ... პოლინას მაკრატლით რო უჭრი მოვაჭვრი!.. ისევ ისე აქვს... არც ეს გამოცვლილა...
- შაშა ტილ. — (ღანაგების კადათია.) — აქ არაფერი იცვლება...
 ტილტილ. — დახე პოლინას ცხვირზე მეჭვქი ისევე ჰქონია...
 ბუბია ტილ. — ჰო, ვერ მოუზრჩინეთ...
 ტილტილ. — რა მშვენიერი ფერი აღევთ, როგორი დაწითლებული ლოყები აქვთ, ეტყობათ გემრიელ საჭმელებსა სკამენ...
- ბუბია ტილ. — მას აქეთ რაც ცოცხლები აღარ არიან, უკეთესად ცხოვრობენ, აქ საშიში არაფერია და არც ავადმყოფობა ვიცი ამ ქვეყანაში... (ამდრთს სახელში საათი რვას ჩამოჰკრამს. ბუბია-ტილ გაოგნებულია.) ეს რა ამბავია?!
- შაშა ტილ. — არ ვიცი, ღმერთმანი, აღბად საათი იქნებოდა...
 ბუბია ტილ. — შეუძლებელია, თავისდღეში არ დაურეკია...
 შაშა ტილ. — იმიტომ, რომ ჩვენ აღარ ვფიქრობთ საათზე... საათი ახსენა ვინმემ?..
- ტილტილ. — დიახ, მე ვახსენე. რომელი საათია?...
 შაშა ტილ. — სწორე გითხრა არ ვიცი, აქ საათს აღარ დაედევ... რვა დარეკა, აღბად თქვენებურად რვა საათი უნდა იყოს...
- ტილტილ. — სინათლე ცხრა საათისათვის გველოდება, ფერიამ გითხრა-უეჭველად ამ დროისათვის მოდითო! უნდა წავიდეთ...
 ბუბია ტილ. — ჯერ რა დროს წასვლია, უვანშმოდ არსად გაგიშვებთ, სწორედ დღეს ქლიავის ძეხვი გამოვაცხე, მშვენიერია... მოდი მიშველე აქ, კარებთან, სუფ-



რა გავშალოთ... (შთაქეთ შავადა, სუფრასს ^{შეშინა},
თუფშეს დაწყოებენ და სხვა. ეველანა ერთმანეთისა
^{შეველან.})

ტაღტაღ. — ეპ, ლორჯი ფრინველი რაკი ვალიაში მიზის. ვახ-
შობაეც შეიძლება... ოო, რა კარგი კომპოსტოს
წვენიია... შერე რამდენი ხანია არ მიჭამია, მას აქ-
ეთ რაც ვმოგზაურობ...

ბუბა ტაღ. — შხად არის... თუ წასულა გეჭკარებათ, ნულა იგ-
ვიანებთ მოღით, დასხედით...

(დაშვას ანთუეს. ეველანა სუფრასს შემოუხსდებან).

ტაღტაღ. — (წვეს ხარბადა შევრეტავს.) ოპ, ოპ, ოპ, ოპ, რა
შშენიერი წვენიია!.. რა გემრიელი წვენიია... კიდევ
მინდა, კიდევ, კიდევ... (ხას კოვზით შთაღაფაზე
არახუნებს).

ზაბ ტაღ. — ტილტილ, დამშვილდი, დამშვილდი... ისევ ისეთი
გიგი ხარ, როგორიც იყავი... ნელა, მათლაფა არ
გატეხო...

ტაღტაღ. — თათქმას შავადაზე დაწვება. — კიდევ მინდა, კიდევ...
(საწვენს ხელს სტაგებს, რამქლიც გადმოფარდება და
წვენი ზოგიერთებს მუხლებზე დაესხება, ეს უკანასკნე-
ლნი ევირანს).

ბუბა ტაღ. — აკი გეუბნებოდი, ფრთხილად-მეთქი...

ზაბ ტაღ. — (ტაღტაღს საღას კარტეაშს) — ესეც შენ...

ტაღტაღ. — (ზირველმა ცოტათი შეკრთება, დოფაზე ხელს წაივ-
ლებს, შემდეგ საამოხუნებათ.) — აი სწორედ, ესეთ
სილას გამარტყამდი ხოლმე, ცოცხალი რომ იყავი.
ოპ, როგორი მიამა, უნდა გაკოცო!..

ზაბ ტაღ. — კარგი, კარგი... თუ გიამა კიდე მოგხვდება..

(სათა ცხრის ნახვეარს ჩამოჭრეკავს).

ტაღტაღ. — (წამოხტება.) — ცხრის ნახვეარი. (კოვზს გადავდებას).
მიტილ, წავიღეთ, -თორემ ვეღარ მივუხსნობთ...

ბუბა ტაღ. — ცოტა კიდევ მოიცადეთ, სახლი ხომ არ გეწვით...

ტაღტაღ. — აა, არა, შეუძლებელია... სინათლე ისეთი კარ-



საქართველოს
აკადემიის

გია... დავიბრდით, დროზე მოვალთ-მეთქი... წამო,
მიტილ, წამო...

ზაზა ტად. — ღმერთო, ეს ცოცხლები რა აუტანელები არიან
ასეთი სულსწრაფობით და რალაცა საქმეებით...

ტადტად. — (გადაას ჯადებს, შემდეგ ვეკლას აკოტებს. ვეკლა ბუ-
შეუბა ერთმანეთს ხელი-ხელთ ჩაველებს და სტუქსაბან.)
მშვიდობით, პაპა, მშვიდობით ბებია-ჩემო... მშვი-
დობით დანო და ძმანო... პიერ, რომერ, რიკეტ,
პოლინ... მშვიდობით, კიკი... ნუ სტირი, ბები-
ლო, ჩვენ კიდევ მოვალთ...

ბუბა ტად. — ყოველ დღე მოდით ხოლმე, შეიღებო...

ტადტად. — ჰო, ჰო, ხშირად მოვალთ...

ბუბა ტად. — ერთად ერთი სიხარული ჩვენი ახლაა... ჩვენთვის
დღეობაა, როცა თქვენ მოგვივინებთ, ხოლმე...

ზაზა ტად. — ამაზე მეტი, სხვა გასართობი არა გვაქვს-რა.

ტადტად. — ჩქარა, ჩქარა... გალია და ფრინველი სად არის?..

ზაზა ტად. — (გადაას მიაწვდის) — აჰა, აი, მაგრამ ეს-კი იცოდე
მე ნურას დამაყვედრი თუ კარგი ფერისა არ არის...

ტადტად. — მშვიდობით, მშვიდობით...

ბუბა ტად. — მშვიდობით, მშვიდობით ტილტილ, მშვიდობით
მიტილ... ყინვარი შაქარი მომიტანეთ, არ დაგა-
ვიწყდეთ... მალე მოდით ისევ აი, მშვიდობით,
მშვიდობით... (უკანასკნელ რემბლავებს დროს იქუ-
რობა თან და თან შიადრუბდა, როგორც მოქმედებს
დასაწყისში... ხმები თან და თან ბუნდავანად ისმის.
ბოლოს ყოველისფერა ასევე მაიმუღება, ასე რა ტად-
ტად და შატად ისევე ჩანან მუხის ძირას...)

ტადტად. — აქეთ, მიტილ, ვზა ესეა...

შატად. — სინათლე სად არის?

ტადტად. — არ ვიცი. (ფრანკულს შეხედავს). ვაიმე, ლურჯი
აღარ არის!.. გაშავებულა!..

შატად. — ხელი მომეცი, ძმაო, მცოვა და მეშინიან.



ტ ი რ ი ფ ი.



ტირის და სტირის ტირიფი,
გული ყელს ამობჯენია,
უკვე ორი თვე სრულდება, —
თავს ნამი არ დასდენია...

ბევრი უნახავს სიამე,
ავიცა გადახდენია;
ორმოც ზაფხულის მოწამე,
მრავალთა ჭირთა მთმენია...

რამდენჯერ თეთრად ნაფეთქი
ტურფად ჰშვენოდა ქალასა,
დღეს მკათათვეშივ ემზგავსა
შემოდგომისა ჩაღასა...

დაღონებულა ტირიფი,
გულბელი დაუკრეფია,
ძარღვებში სისხლი უშრება,
წვეთ-წვეთად მონაკრეფია.

ცრემლიც აღარ აქვს საბრალოს,
გული ყელს ამობჯენია;
ცრემლისა ნაცვლად — შემჰკნარი
ყლორტები ჩამოსდენია...

ეს შესთხოვს: „ნუ გამიმწარე
 ბეჩავს სიკოცხლის წამიო,
 ყელი ჩამიშრა წყურვილით,
 გამომიგზავნე ნამიო!

შემომტირიან შეილები,
 დამკნარნი საკოდაედა;
 იმათ რა ძუძუ ვაწოვო,
 სიკოცხლეს ვკარგავ თაედა!

ღმერთო, მომხედე, მომხედე
 შენის მოწყალე თვალითა,
 სული ჩამიდგი მომაკედავს
 ცის უკვდავების წყალითა!..“

ეს აღარ ესმის ტირიფის
 მწუხარე გულის ტკივილი:
 ცხელ ნიავს გააქვს ხევ-ხევში
 იმისი კენესა-ჩივილი!..

ილ. გოგია.





ნიჭიერი ბავშვის

თავგადასავალი.

ომ იცოდეთ, რა ნიჭის პატრონი ვარ,
 რა ქვეიანი, გეფიცებით შობის ხის
 წყვილ ანთებულ სანთელს, სამ ფორ-
 თოხალს და ერთ გირვანქა ვოზინაყს, ყველა მე მომბაძივდა. წარ-
 მოიდგინეთ, შვიდი წლისამ ლექსების წერაჲ კი დავიწყე და
 ნახევარი წლის განმავლობაში უკვე დიდი სახელი მოვიხვეყე.
 პირველი ჩემი ლექსი გახლავთ „მკვებარა“:

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
 იქით გორასა ძვრას ვუზამ,
 აღიდებულსა მდინარეს
 დავაგუბებ და ყლაპს ვუზამ“.

ისე გამიტაცა ჩემმა დაწერილმა ლექსმა, რომ მაშინვე
 გოლიათად წარმოვიდგინე ჩემი თავი: მაგრად გავიქნიე ფეხი,
 ვსთხლიშე პატარა რგვალ მაგიდას და ზედ რომ წყლის ლიტ-
 რა იდგა, დაბლა ჩხრიალით გადმოვაგდე... რაღა თქმა უნდა,
 დედამ ყურები მიმისრის-მომისრისა, ბოლოს ცოცხიკ ჩამომისვა
 გვერდებზე მტვერის ჩამოსაბერტყად და სახლიდან დიდის პატი-
 ვით გამაბძანა.. რაღას ვიზამდი, იძულებული გაეხდი მიმეტოვე-
 ბინა კოტა ხნით პოეტობა და მალე ბებია ჩემთან გადაესახლდი.

ბებია ჩემს ჩემი პოეტობა თუმცა ჯერ არ გაეგონა, მაგ-
 რამ ის კი კარგად იცოდა, რომ წარმოდგენებში მონაწილეობას
 ვიღებდი და საოცარი ნიჭიკ გამოვიჩინე არტისტობისა. ამიტომ
 ბებიამ ტკბილად მიმიღო და ლედვის ჩირი და კაკლები მომ-



ცა. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე მეზობლის ვარინკასთან მივსულიყავი. ის ჩემი გულადი ამხანაგი გახლდათ, რომელთანაც ხშირად ვთამაშობდი ხოლმე. ვარინკა ბედად შინ დამიხვდა; კაკალი უთავაზე და ბებიასთან წამოვიყვანე. ვარინკა, მოდი წარმოდგენა გავმართოთ-მეთქი... ისიც დამთანხმდა.



უპირველეს ყოვლისა გრიშების გაკეთებას შევუდგე. მე უნდა ვყოფილიყავ ბებერი მეფე, ამიტომ, ბებიას რომ დაჩეჩილი მატყლი ჰქონდა, იმითი წვერები და თმა გავიკეთე. მატყლი ცოპის ხაშით მივიკარ, მხოლოდ, რადგანაც ამ დროს ფერადები არ მოგვეპოვებოდა, ვარინკა ქვაბის მურით გავაღამაზე. გრიშები მზად იყო. ახლა მხოლოდ დეკორაციები იყო საჭირო. ესეც ვიშოვნე: ბებიას უწინდელ კილობნისთვის თეთრი ფარდა გადაეფარებინა. მაშინვე კანაფით გავაბი იგი კედელზე და ქვაბის მურით ციხე-კოშკი დავხატე მეფისთვის. მხოლოდ თოვლის მოსასვლელად ბალიში გავარღვიე ბუმბულის გასაპნევად. ის-ის იყო, უნდა თამაში დაგვეწყო, რომ ბებიაშე შემოალო კარები და გაოცებული გაჩერდა: ალბად მასაც მოეწონა ჩვენი სამზადისი, მაგრამ, სამწუხაროდ, გარედ მეზობელს გაეჯავრებინა და



მე-კი დამიწყო ჯაერობა, ვარინკასაც წაუთავაზა თავში, მერე კურებში მტაცა ხელი.

საწყალი ვარინკა ტირილით გაიქცა შინისაკენ, სამაგიეროდ მისი დედა მოვარდა გაჯავრებული, ასეთი გრიმი რათ გაუკეთეო. უფიცნი! იმათ რა იციან, ჩვენ რომელ პიესას ვთამაშობთ! მურით გაგითხუნია ბავშვიო! ბებიასაც არ მოეწონა ბალიშის გარღვევა და ფარდის დახატვა; წარმოიდგინეთ, თმებში ხელი მტაცა, რატომ არ მოიკრეჭეო! ბიჭოს! მე ვარ, და დიდი თმა მინდა მქონდეს, შენ რა გესაქმება, რა ხელს შევლებ? მაგრამ მე არ მოგიკვდეთ, სახლში აღარ დამაყენა. მეტი გზა არ იყო, ისევ ჩემს დასთან უნდა წავსულიყავ მახლობელ ქალაქში.



მეორე დღესვე დასთან ამოვეყავ თავი. ჩემმა სიძემ იმ დღესვე რეზინის ბურთი მომიტანა. ძალიან გამიხარდა. ჩვენ ვიდგეით მესამე სართულში. სამი წყება კიბე უნდა აგველოთ, ვიდრე ჩვენს ბინას მიღწევდით.

დავიწყე თამაში. ბედად ბურთი სახურავზე შემივარდა; მაშინვე იქ გავჩნდი. ბურთი არსად სჩანდა. ბოლოს მომაგონდა, რომ ჩემი ბურთი საწვიმარ მიღში ჩავარდებოდა-მეთქი. საუბედუ-



ქართული
საბავშვო ჟურნალი

როდ მიღს ვერ მივუდები, რომ შემომეკრა მომავლანდა, რომ სამზარეულოში სწორედ ჩემი ბურთის ტოლა ერთი რკინის ბურთი იყო. მაშინვე ჩავიბინე, ორიოდ წუთში რკინის ბურთით დავბრუნდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ჩავკარ მიღში. რკინის ბურთი რახრახით დაეშვა და ისეთი ძლიერი ხმა მოიღო, თითქოს მთელი სახლები ექცევაო, მეზობლებიც და მდგმურებიც გულ-გახტქილნი გარედ გამოიბოდნენ. მე ზევიდან დავყურებდი და ჩემ სიხარულს სახლვარი არა მქონდა, როცა რკინის ბურთმა მოსწყვიტა მიღს უკანასკნელი მკლავი, და ჩემი ბურთიც ქუჩაში გააბზრიალა. როცა ბურთის ასაღებად დავეშვი, მალეა მდგმურების წივილი-



კვილი მომესმა. თურმე ნუ იტყვით, შუალა სართულში მოაჯირზე ყოფილიყო გადმომდგარი; მიღის რახრახი რომ გაუგონია, ასე ჰგონებია, სახლები ინგრევო და გული გაპპარვია. ქუჩაში რომ ბურთს დავსწვდი, ჩუნმა იეზოვებ მტაცა ხელი:

— აბა, წამოძანდი, მილი რომ გააფუჭე და ის კაღალკელება შიშისგანაო!

რა ხალხია, თქვენი კირიმეთ! მაშ ბურთი მილში უნდა დამპალიყო? საღამოთი შინ გამომიტხადეს, შენი აქ დარჩენა არ შეიძლება, რადგანაც მეზობელს გული წაუვიდაო. არა, როგორ მოგწონთ? იქნება მას გულის ღონება სკირს, ჩემი რა ბრალია? მაგრამ მეც არ მოგიკვდეთ, ჩემს თავს ვილაღ ოხერი მდგმური არჩია ჩემმა პატროსანმა დამ. კაცს რომ ბედი არა სწყალობს-სწორედ ეს არის! აბა, თუ გნებავთ, თქვენ თვითონ სთქვით, რა დავაშავე? ყველგან პანდური, ყველგან აბუჩად აგდება! რატომ ვერ სწავლობო, ჩემ ნიქს წინ ეღობებიან და მევე მაყვედრიან! ჩამოვთვალათ, თუ გნებავთ თავიდან: პოეტობა ურიგო ხელობაა? მთელი დედამიწის ზურგი თითქმის იცნობს შოთას, ილიას, აკაკის და მე, როცა ბედმა გამიღიმა და ვსწერ, წარმოიდგინეთ, შესანიშნავ ლექსს უცბად ტყდება პაწია რალაც წყლის ლიტრა, და ამის გულისთვის ხელი უნდა ავიღო პოეტობაზე! პოეტობა წყალსაც წაუღია! არტისტობა? აქ რაღა დავაშავე? მაგრამ შეუგნებელ ხალხში შენი ნიქიც დამარბულია.

გულ-დაწყვეტილმა ხელახლად ავიკიდე ჩემი გულდა ნაბადი და გაუდექ ისევ შინისკენ. თითქმის კარგად დაღამდა, შინ რომ მივედი, მაგრამ შიშით შინ რა ეშმაკი შემეყვანდა, კარებზე ჩუმად მივიპარე, შევიხედე ფანჯრიდან და ცხადად დავინახე დაღერემილი მამაჩემი თავის ჩიბუხით. დედაჩემიც იქვე იყო, ჩემი პატარა დებიც. შევიღე თუ არა, ვეკითხები ჩემს თავს. არა, შესვლა შეუძლებელია! მაშ რა მოვიგონო, გარედ ხომ ვერ გავათევ ლამეს? ამის შემდეგ დიდხანს აღარ მიფიქრია, შევძვერ სახლის აივანის ქვეშ, შევიტანე დიდი ფიჩხი და დაუწყე ქვეშიდან აივანის იატაკს ბლარტა-ბლურტი. არ გაიარა დიდმა ხანმა, და მამაჩემი გამოვიდა გარედ, მიიარ-მოიარა და ისევ შინ შევიდა. მე, რა თქმა უნდა, ამ დროს გაეტრუნე სული და როცა დავრწმუნდი—შინ შევიდა მეთქი, კვლავად გავიმეორე ფიჩხით ბრაბუნნი. მამაჩემი კიდევ გამოვიდა, ახლა აივნიდან დაბლაც



კი ჩამოვიდა, აივნის ქვეშაც შემოიხედა, მაგრამ ^{სინამდვილეში} მაინც ვერ შემაშინია; კარები რომ გაჭრიალდა, მეგონა მამა-ჩემი შევიდა მეთქი, ამიტომ მოვაცოლე ისევ ფიჩხის ტყაპუნი.

— მოდი, დედაკაცო, შეძვერ ქვეშ, რა არის ე ოხერი? ძაღლია, არც ძაღლია, დასწყევლოს ღმერთმა! — დაუძახა გარედ გამოსულ დედაჩემს, მამაჩემმა. შევხედოთ, დედაჩემი მართლაც მოძვრება აივნის ქვეშ და თან წუმწუმას ანთებს, მაგრამ მალე უჭრება. ახლა კი მიმატა სიცხემ. აი წამომატანა ხელი და შევლრიალე კიდევ. ჩემს დაღრიალებაზე არა ნაკლებ დაიკვილა დედაჩემმა და ძალზე შეშინებულმა უკან დაიწია.



— ნუ გეშინიან, დედაკაცო, ნუ გეშინიან, — მოაძახა მამა ჩემმა და საჩქაროდ ისიც შემოძვრა აივნის ქვეშ. შევატყე-დედაჩემს შიშისგან გული ქულონდებოდა, ამიტომ დამავიწყდა ჩემი დასჯა და საჩქაროდ შევესძახე:

— მე ვარ, დედა, ნუ გეშინიან!

— შენ და შენ თავს!—ძლივს ამოილულულა დედამ.

— აქ რა ეშმაკი გინდა, ბიჭო? —გაიოცა მამა ჩემმა და, წელ-
მოწყვეტილები შიშისა და გაკვირვებისაგან, გამოჰძევრით აი-
ნის ჭვეშიდან. სახლში რომ შევედით, ისევ მაცახცახებდა,
რადგან ვიკოდი ვაწყებლა არ ამცდებოდა; მაგრამ მამამ გაი-
ცინა:

— რა გვიყო ამ არამზადამ, გესმით! მიპატებია, რადგან
ხვალ წინოობაა და არ მინდა ამ ბედნიერი დღისთვის გაგამწა-
რო; მით უმეტეს—დედიშენის სახელწოდების დღეა დღეს. მხო-
ლოდ შემდეგისთვის... ხომ იცი!

და თავისი დიდი ჩიბუხი დამიღერა, რომელიც მეცხვარის
კომბალს უფრო ჰგავდა.

ნიკ. დარაშვილი.





ქართველების უძველეს ისტორიიდან



რავალი საუკუნოების წინაღ ზენმა წინაპრებმა, ქართველმა ტომებმა, იწყეს სამხრეთიდან შემოსვლა ახლანდელ საქართველოში. ისინი ხან სასტიკი ომით შეეჭრებოდნენ აქ მცხოვრებ ველურ ტომებს, რომლებმაც ჯერ კიდევ რკინის ლითონის დამუშავება არც კი იცოდნენ და, გამწვავებული სისხლის ღვრის შემდგომ, მიერგეებოდნენ მათ ჩრდილოეთისაკენ, ან მიუვალ მთებში, და მათ ბინადრობას ეპატრონებოდნენ; ზოგი მკვიდრთაგანი კი ადგილობრივ დარჩენას ირჩევდა ხოლმე, მოსულ ქართველებში ერეოდნენ და ქართველდებოდნენ. ამიტომაცაა, რომ უძველეს საფლავებში ქართველებთან ერთად ვიღაც უცხო ტომელთა ჩონჩხები მოიპოვება.

ხან კი ისეც ხდებოდა, რომ მოსული ქართველები ადგილობრივ მკვიდრთაგან მიწა-წყალს სყიდვით ან დამოყვრებით შეიძენდნენ ხოლმე და ზედ კიდევაც სახლდებოდნენ.

გადმოსახლების უმთავრესი ტალღა უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 2500 წლისა დღეიდან ე. ი. V—VI საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე.

მაშინ ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან ტომებისაგან შესდგებოდა ქართველთა მოდგმა და შორს ჰქონდა გაეარდნილი სახელი კულტურისა თუ სიძლიერის წყალობით და მთელი თანამედროვე კაცობრიობაც კარგად იცნობდა მათ და დიდ ანგარიშსაც უწევდა.

ეს სახელი და კულტურა ქართველებს მოხვეჭილი ჰქონდათ მათ წინანდელ მიწა-წყალზე და გადმოსახლება არა თუ არაფერს შეჰმატებდა მათ, პირიქით ზიანსაც მოუტანდა და მოუტანა კიდევაც. შეუძლებელია ეს თვით ქართველებსაც არ სკოდნოდათ მაშინვე, და ცხადია გადმოსახლებას რაიმე უკიდურესობა გამოიწვევდა.

ქართველ ტომებში ისტორია მხოლოდ მათ იცნობს, რომელთაც უფრო დიდი წარსული და ძლიერი კულტურა ჰქონდათ. ამიტომაც, თუმცა ახლაც შენახულ ქართველთა ტომების სახელებს ჩვენ უძველეს წარსულშიაც ვხვდებით, ბევრი მათგან არ მოსჩანს. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოდესღაც ასეთი, ჯერ კიდევ ისტორიკოსისთვის უცნობი, ტომიც არ ყოფილიყოს ცნობილი, როგორც ძლიერი და კულტუროსანი.

უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში ჩვენ ასეთ ტომებზეც აღმოგვიჩნდება ცნობები. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსალოდნელია, რომ ქართველთა მოდგმის, ანუ იაფეტიანთა მოდგმის, წარწერები; ლურსმული თუ ხატოვანი, ჯერ ან სრულებით არ არის წაკითხული, ან არა და შეცდომებით არის გარჩეული, და ყოველი ახალი მეცნიერული დაკვირვება ამტკიცებს, რომ წინათ წაკითხული პწკარები ნაწერებისა სწორად გამოთქმული და განმარტებული არ არის.

5000—6000 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, ვიდრე აწინდელ საქართველოში ან ამიერ-კავკასიაში შემოხიზნვას დაიწყებდნენ, ქართველებს, უკეთ ვსთქვათ ქართველ ტომებს, ეჭირათ მთელი ის მიწა-წყალი რომელიც უჭირავს დღევანდელ სპარსეთს და თითქმის მთელი აზიური ოსმალეთი, ე. ი.—შუა მდინარე, კაბადუკია, პალესტინა და შავი ზღვის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ნაპირები.

ქართველებსავე ეჭირათ მცირე და დიდი სომხეთის მთელი მიწა-წყალი. (ზოგი მეცნიერები ქართველებს უკავშირებენ სხვა ხალხებს და ტომებს, რომელთა ბინადრობა ბალკანეთის, აპე-



ნინის და ესპანიის ნახევარ კუნძულებზე იყო, მაშასადამე ქართველთ წინაპრებს აკუთვნებენ, გარდა წინა აზიისა, ანუ აღმოსავლეთისა, ევროპის მიწაწყალსაც).

გარდა ქართველ ტომებისა, ისტორიულ მსვლელობაში წინა აზიაში გვხვდება უცხო ტომები და სამეფოები, მაგრამ ისინი უფრო ხშირად ქართველებს ემორჩილებოდნენ პოლიტიკურადაც; კულტურულად კი, როგორც შემდგომ დაეინახავთ, ყველა ასეთი ტომები ქართველების ზეგავლენას განიცდიდნენ.

უმთავრეს ტომებში, რომლებიც ზემონახსენებ მიწაწყალს ჰფლობდნენ, ზოგი უკვე საბოლოოდ ქართველ ტომებად არიან ცნობილნი, მაგ. ქალები, მუსკები, თუბალები, კოლხები კასხები და სხვა. ზოგი კი ჯერჯერობით მხოლოდ მათ მონათესავეებად: ხეთელები, მიტანელები, ელამიტელები, ეტრუსკები და სხვა.

მათი ქართველობაც მხოლოდ მაშინ დამტკიცდება საბოლოოდ, როცა მეტი მასალები ექმნებათ მკვლევარ — მეცნიერთ, როცა წაკითხული იქნება მათი წარწერები და გავიგებთ, რა და რა ტომებისაგან შესდგებოდა ეს სამეფოები.

ახლანდელი ცნობები საერთოდ მეტად მცირე და მკრთალია. უძველესი ცნობები ემყარება არქეოლოგიურ ნაშთებს, უმთავრესად კი ასურელების წარწერებს, რადგანაც საკუთარი წარწერები ქართველთა მოდგმისა წაუკითხავია. ასურელების წარწერები კი შეეხებიან მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც ომებთან იყო დამოკიდებული. სწერდნენ იმაზე, რაც თითონ აინტერესებდა, როგორც მაგალითად ნადაელზე, ხარაჯაზე, ტყვეებზე, ბრძოლაზე და სხვ. ქართველ ტომების შინაურ ყოფა-ცხოვრებას და მდგომარეობას ისინი სრულიად არ შეეხებიან.

მრავლად არის აგრეთვე ცნობები ქართველ ტომებზე გაფანტული ეგვიპტელების ხატოვან წარწერებში, მაგრამ იქაც ხასიათი წარწერებისა ისეთივეა, როგორც ასურელებისა, და ქარ-

თველების მაშინდელი ცხოვრების შესახებ მხოლოდ შუა შეიძლება ამოიკითხოს ადამიანმა.

ბევრად უფრო ვრცლად ქართველებზე სწერენ ბერძნები, მაგრამ ესენი უკვე იმ ხანას შეეხებიან, როცა ქართველებს თავისი წინანდელი მიწაწყალი უკვე დაეკარგათ და ფეხიც ამიერკავკასიაში მტკიცედ ჰქონდათ ჩადგმული.

თვით არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს, ქართველების წარსულს ეძებდნენ ამიერკავკასიაში, უფრო კი აწინდელ საქართველოში, და არა იქ, საცა ქართველების უძველესი ბინადრობა იყო, ე. ი. მცირე აზიაში, შუა მდინარეში, კაპადოკიაში და ერანში. არც ისე დიდი ხანია, სულ 40-30 წელია, რაც გამოირკვა, რომ ქართველების უძველესი ბინადრობა იქ უნდა ვეძებოთ, და არა კავკასიაში. მხოლოდ ასეთი მცირე ხანია, რაც ქართული ენაცა და ქართველ ტომების წარსულიც შედარებით უფრო კარგად არის შესწავლილი და თვით ეს შესწავლაც საერთოდ სწორ ნიადაგზე დადგა. თითქმის მთელი ლეწლი საკითხის ჯეროვანად დაყენებისა და შესწავლაში მიუძღვის ჩვენს თანამემამულეს, პროფესსორს და რუსეთის აკადემიის წევრს ნიკო მარს; მისი მეოხებით ჩვენ ახლა შედარებით თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც საქართველოს ენათმეცნიერება, ისე ქართველთა უძველესი მიწა-წყალი და ცხოვრებაც. ქართველი ერის ისტორია კი, უძველესი დროიდგან მოყოლებული, მეცნიერულად შეისწავლა და პირველმა დასწერა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა.

I

კაცობრიობამ კულტურა აღმოსავლეთიდან მიიღო; აქედან ვრცელდებოდა ის აღმოსავლეთით ინდოსტანამდე, დასავლეთით-ატლანტის ოკეანამდე და სამხრეთით-ტროპიკებამდე. თვით კულტურის უმთავრეს აკვნად ითვლება ეგრედ-წოდებულ ძველ აღმოსავლეთის შემდეგი მდინარეთა აუზები: ეფრატის, ტიგროსის, ხოასპის, ევლესის (თუ ულაის) და დალისის. ახლანდელი



მეცნიერება ამ ადგილებში წარმოშობილ კულტურათა შორის ყველაზე კარგად იცნობს ბაბილონი¹ და ასურეთის კულტურას, რადგანაც ბაბილონელების და ასურელების ენა გარჩეულია, წარწერებიც წაკითხულია და არქეოლოგიური გამოკვლევანი ფართოდ არის ნაწარმოები; რაც შეეხება კულტურას, რომელიც ეკუთვნოდა ბაბილონელების და ასურელების შემოხიზენამდე აქ მოსახლე სუმერიელებს, ან ხოასპის და ევლეს აუზებში მოსახლე ელამიტელების, სპარსეთის ყურეს მონაპირე სუმერული ტომების, კასების (კასიელების), ხეთელების, მიტანელების, ქალდეების და სხვა ამ მოდგმის ხალხთა კულტურას, ჯერაც შესწავლილი არ არის და მხოლოდ შედარებით შეიძლება ამოვიკითხოთ ის და წარმოვიდგინოთ ასურელთა და ბაბილონელთა ნაწერებიდან.

როგორც ვიცით, ეგრეთ-წოდებული ლურსმული რიგი წერისა ბოლომდის სემიელ მოდგმის, ანუ ბაბილონელების და ასურელების გამოგონებად ითვლებოდა; მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ წერის ლურსმული რიგი სემიელი ენების შესაფერისი არ არის: მისი ნიშნები ისეთი იეროვლიანებიდან არის გამოსული, რომლებიც გამოხატული სურათების სემიელ სახელწოდებას არ სახავენ. ამას გარდა მწერლობაში არ არის დაცული სემიური ენების არც ფონეტიური და არც გრამატიკული კანონები. ასეთი დაკვირვებით საბოლოოდ გამოირკვა, რომ ლურსმული მწერლობაც, კულტურის მრავალ სხვა მხარეებთან ერთად, ეკუთვნის არა სემიელებს, მაშასადამე არა ბაბილონელებს და ასურელებს, არამედ სრულებით სხვას-უფრო ძველ ხალხს—სუმერიელებს.

სემიელები, ბაბილონელები და ასურელები შემოეხიზნენ თავის ისტორიულ მიწაწყალში ო. ხი ათასი წლის წინედ ქრისტეს დაბადებამდე. როცა ისინი მოვიდნენ ევფრატისა და ტიგროსის აუზებში, აქ სახლობდა დიდი კულტურისა და ისტორიის პატრონი ხალხი, სუმერიელები. დიდი ხნის ბრძოლის შემდგომ მოსულმა სემიელებმა ნელ-ნელა აიძულეს ადვილო-

ბრივი მცხოვრებნი დაეთმოთ მათთვის შუა მდინარეს სამხრეთი ნაწილი და დააარსეს ბაბილონის სამეფო. თვით შემოხიზნულები კი კულტურულად სუმერიელებს დაემორჩილნენ და ბაბილონის უკანასკნელ დღეებამდის შეინარჩუნეს როგორც სამღვდელ-მსახურო ენა სუმერიული.

სუმერი არის საერთო სახელმწიფო სახელი ხალხებისა ანუ ტომებისა, რომლებიც სცხოვრობდნენ სპარსეთის ყურედან მოყოლებული ხოასპის, ევლეის, ეფრატისა და ტიგრისის აუზებში. მაგრამ რა და რა ტომებისაგან შესდგებოდა სუმერი ჯერაც გამორკვეული არ არის ზედმიწევნით. მხოლოდ რამდენიმე ტომის სახელი ვიცით სუმერებიდან და ისიც სემიურ-ბაბილონური მართლწერით და სახელწოდებით; მათ ეკუთვნოდა სხვათა შორის ელამიტელები, რომლებიც სპარსეთის ყურეს ნაპირზე და ევლეისა და ხოაპის აუზებში სცხოვრობდნენ, კასსელები თუ კასსები, რომლებიც ელამიტელების მეზობლად სცხოვრობდნენ და ძველთა-ძველი ქალდეები, ანუ ხალდეები, შუა მდინარედან, რომლებსაც შემდგომ უკვე ტიგროსის და ეფრატის აუზის ჩრდილოეთ ნაწილში ვხედავთ. რომელ ტომს შეებრძოლა პირველად სემიელები და რომელ ტომს წაართვა მიწა-წყალი სამხრეთ შუა მდინარეში გადაწყვეტით თქმა მეტად ძნელია, მაგრამ ზოგიერთი დაკვირება, კერძოდ წყალსადენების გაყვანა—აშენების რიგის მიხედვით ბაბილონში და შემდგომ ვანის მიდამოებში, იძლევიან საფუძველს ვიფიქროთ, რომ სემიელების შემოსევამდე ე. ი. მე-5 ათას წლებში ქრისტეს დაბადებამდე შუა მდინარეს სამხრეთ ნაწილშიაც სცხოვრობდნენ ქალდეები, ანუ ქართველთა წინაპრები (ქართველები); სწანს სემიელების შემოსვლის შემდგომ ამ ტომს თავისი ბინადრობა მიუტოვებია და ჩრდილოეთისაკენ წასულა.

რას უწოდებდნენ თავის თავს სუმერიელები — ჯერაც გამორკვეული არ არის.

სუმერი დაყოფილი იყო წვრილ სამთავროებად და სამეფოებად. სამთავროებს სატახტო ქალაქის სახელები ეწოდებოდა;

ასეთ ქალაქებში ჯერ-ჯერობით ცნობილია: ეფერატის მარცხნით ერიდუ, რომელიც ზღვის პირას იყო წყლისა, და დაუსრულებლობის ღმერთი ეას ტაძრით, ურუ, ეფერატზე-მთავარის ღვთაების ენზუს კულტით; ქალური ღვთაება ნინა-ისტარით (თუ ნანა-ისტარით—ეფერატის ძველ კალაპოტზე; შუა მდინარეში ქალაქი ელსარი, მზის ღვთაების ბაბ-ბარას ტაძრით და ძველი სუმერული იდეალური ქალაქით, ნიპურით ღმერთი ენლილის ტაძრით. ეფერატის ძველსავე კალაპოტზე ქ. ქ. აბაბი, ისინი და შირპურლა ანუ ლგაში.

საკუთრივ შუამდინარეში იყო უძველესი, არა ისტორიული სუმერიული ქალაქი შურუპაკი.

ჩრდილოეთ ბაბილონში სემიელთა შემოსვლამდე ქალ. ოპისი თუ ოპისა (შეადგენდა ოპიზას) ქ. კუთა (თუ ქუთა)—სიკედლის ღმერთის ნერგალის ტაძრით, ქალაქი ქიში და სიპარ-აგადე, ანუ აკადი.

სუმერის ქალაქების ყველაზე დასავლეთით ჯერ ელამიტელების და შემდგომ სპარსელების სატახტო ქალაქი სუზა, ანუ შუშანი, ტუპლიაში და სხე.

საკუთრივ მესოპოტამიაში იყო ცნობილი ქალაქი ხარანი.

რასაკვირველია სუმერის დიდ მიწა-წყალზე კიდევ იქნებოდა ქალაქებიც და სამთავროებიც და მომავალში კიდევაც აღმოჩნდება. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მრავალი ქალაქები, რომლებზედაც იმდენად არ ზრუნავდნენ, როგორც ზემოდ ჩამოთვლილ სატახტო (სამთავრო ქალაქებზე), უკვალოდ განადგურდებოდა. თვით აქ ჩამოთვლილ ცენტრებიდანაც ბევრი მეტად ადრე დაიწვრა და განადგურდა და თავისი არსებობის კვალად დასტოვა ათი ათასობით ლურსმული თუ ხატოვან წარწერებიანი ფირფიტები მთავრებისა და მეფეების სახელებით, ტაძრებისა და სხვა შენობათა აგების შესახებ, ან მიწერ-მოწერა მთავრებისა და მეფეებისა ერთმანეთს შორის და მრავალი საანგარიშო ნუსხები. დიდი უმრავლესობა მათი წაუკეთხავია. წაკითხულიც ჯერ სისწორით გარჩეულად არ ჩაითვლება. ხოლო

რამდენადაც გარჩეულია, ირკვევა, რომ ყოველი ასეთი ქალაქი ანუ ცენტრი შეადგენდა სამთავროს; სამთავროს უზენაეს მფედ ითვლებოდა ღმერთი, რომლის ტაძარიც ქალაქში იყო, მაგ. ენლილი, ნინა, თუ ნანა, ნერგალი, ენზუ და სხვ. ღმერთის მიწიერ მოადგილედ და სამთავროს გამგედ ითვლებოდა პატესი ან ლუგალი. პატესი ეწოდებოდა პატარა ერთეულის მთავარს, რომელიც უფრო ხშირად ლუგალის ანუ რამდენიმე სამთავროს მეფის ვასალი იყო. პატესებისა და ლუგალებს შორის გამუდმებული კომპობა და ომი იყო. ხან გაძლიერებული პატესი იმარჯვებდა და ლუგალის ხარისხს ართმევდა დამარცხებულს, ხან კიდევ ლუგალი აიძულებდა პატესს მის წინაშე ქედი მოეხარა. თუ რომელიმე პატესი შესძლებდა რამდენიმე სამთავროს შეგროვებას, მაშინ ის ლუგალს უწოდებდა ხოლმე თავის თავს. ხდებოდა ხოლმე ისეც, რომ რომელიმე ასეთი პატესი ან ლუგალი იმორჩილებდა მთელს შუამდინარეს სამხრეთ ნაწილს, შემდეგში ბაბილონად წოდებულს, და თავის თავს უკვე სუმერისა და აკადის მეფეს უწოდებდა. ხოლო თუ მთელი შუამდინარისა და ელამის მბრძანებელი გახდებოდა, მაშინ უკვე თავის თავს სუმერისა ან და კალამის (ე. ი. ქვეყნის) მეფეს უწოდებდა.

ასეთი ძლიერი მეფეები ხსენებულ მიწაწყალს უკვე არ სჯერდებოდნენ, ფართე მასშტაბით ლაშქრობას აწარმოებდნენ და იპყრობდნენ ახალ-ახალ ქვეყნებს, ისე რომ ხშირად სუმერის მეფის სამფლობელოში მოჰყოლია მთელი წინა აზია სირიით და სპარსეთის ყურედან ხმელთა შუა ზღვამდის. ამდენად გაძლიერებული მეფეები ძველ სახელწოდებას აღარ სჯერდებოდნენ და წინანდელს უმატებდნენ „ოთხ მხარეთა მეფეს“ ესე იგი უკვე იწოდებოდნენ „მეფე სუმერისა და აკადისა, მეფე ოთხთავე მხარისა“.

რადგანაც ელამიტურ-სუმერული წარწერები სწორად წაკითხულად არ შეიძლება ჩაითვალოს, ამიტომ ის მცირე ცნობები, რომლებიც ეხლა მოგვეპოება სრულიადაც არ გამოხატავენ სუმერიელთა კულტურას, ან მათ ღვაწლს კაცობრიობის



საქართველოს
აკადემიის

წინაშე, და ჯერ-ჯერობით თითქმის შეუსწავლელი რჩება სუმერიელთა ძველი ისტორიული ცხოვრებაც და არა ისტორიულისა ხომ სრულიად არაფერი არ ვიცით...

მაინც სავსებით გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ლურსმული მწერლობის შემოღებით სუმერიელებმა ე. ი. იაფეტიდებმა უკვდავი სახელი მოიხვეჭეს. მართალია რიგი წერისა მეტად რთულია და ძნელი, მაგრამ ის შერჩა კაცობრიობას სუმერიელთა სამეფოებისა და კულტურის დაცემის მერმეც და მთელი 2500 წლის განმავლობაში უდიდესი კულტურის იარაღი და მთელი აზიის საერთაშორისო ურთიერთობის საშუალებად იყო. ამიტომაც იყო, რომ სუმერული ენა შემდგომ, როგორც ძველი და კულტურის მომასწავებელი, ბაბილონმა თავის უკანასკნელ დღეებამდის სამღვდელმსახურო ენად შეინახა.

სუმერის პატესებიდან ჯერჯერობით ცნობილია 53; ამთში 17 სუზიდან და 36 შირპურლა-ლაგაშიდან.

სუმერის მეფეთეგან კი ქ. ოპისის ლუგალები, რომლებმაც შეინარჩუნეს სუმერის მეფეთა ხარისხი ასი წლის განმავლობაში და მერმე კი დაუთმეს ქ. კიშის ლუგალებს. უკანასკნელებში ყველაზე ცნობილია ლუგალი მესილიმა, რომელიც მეფობდა მე-4 ათასი წლის დასასრულში ქრისტეს წინად. 3000 წლის წ. ქრისტემდე პოლიტიკური ბატონობა ქ. კიშის ლუგალებიდან გადავიდა შირპურლა-ლაგაშის პატესების ხელში. შირპურლის პირველ ლუგალად, ანუ მეფედ, იყო ურნინა. უდიდესი სიძლიერე ლაგაშის მეფეებმა მოიპოვეს ურნინას შვილის შვილის ანნატუმ I და უკანასკნელის შვილის ენტემენის დროს, რომელიც იწოდებოდა „დიდი ენტემენი ღმერთი ნინგირსუს პატესად.“ ეანნატუმმა და ენტემენმა დაიპყრეს სუმერის თითქმის ყველა სამთავროები და სამეფოები. 2800 წელში ურნინას დინასტიის უკანასკნელ მეფე ლუგალიანდას საერო უფლება წაართვა ქვეშევრდომმა ურუკა გინამ.

ურუკაგინის გამეფებას წინ უძღოდა დინასტიის საწინააღმდეგო ამბოხება. ხალხი მეტად შეაწუხა წინანდელი პატესე-

ბის თავგასულობამ და გადასახადებმა. ყველაფერზე პატესონს, ქურუმის და ვეზირის სასარგებლოდ გადასახადი იყო დაწესებული, და ყველაფერში რაც საუკეთესო იყო, პატრონს პატესონსათვის ართმევდნენ. ასეთმა გადასახადებმა ხალხი ააშფოთა. ამბოხებას სათავეში ჩაუდგა ურუკაგინა და ხალხს ალუთქვა გადასახადების მოსპობა და წინანდებურად შეუღვივებელი ცხოვრება. შინაური განხეთქილებით ისარგებლა ქ. უშმას პატესონს ლუგალზაგისიმ და შირპურლას შემოესია. ურუკაგინას სძლია და ტაბტიდანაც ჩამოაგდო, ისე რომ ამ რეფორმატორ—მთავარს დიდხანს არ უმიფენია. ლუგალზაგისი საუკეთესო სარდალი გამოდგა და მთელი სუმერი დაიმორჩილა, სპარსეთის ყურედან დაწყებული ხმელთა შუაზღვამდე. სუმერის ასეთი გაერთიანებით ლუგალზაგისიმ თითქოს პირველი მაგალითი უჩვენა ბაბილონ ასურეთის მბრძანებლებს მათ მუდმივ მისწრაფებაში ხმელთა შუაზღვისაკენ.

მეფობრივი იდეით სუმერი იყო ერთიანი საბრძანებელი ღმერთი ენლილის მეფობის ქვეშ. ენლილი იყო მთავარი, მაგრამ ადამიანთაგან დაშორებული, ციური ღმერთი ანუეს შვილი. ის ითვლებოდა მთებისა და ქარის შერმე მთიან ადგილების და ბოლოს საერთოდ ქვეყნის—დედამიწისა და ზეცის ღმერთად, რომელიც სუფევდა არა მარტო თავისი ხალხის მთებში, არამედ თვით ამ ხალხთა შორის წმინდა ქალაქ ნიპურში, რომელიც ქვეყნიერების შუაგულად იყო მიჩნეული.

სუმერის მთავრების ერთმანეთთან გამუდმებულ ომებთან და შინაურ გადაშიჯვასთან ერთად სწარმოებდა მეორე ბრძოლაც, ჯერ ჩუმი და მერმე გამძვინვარებული. ეს იყო სემიანების, ჯერ ნაწილობრივი, და მერმე მასიური შემოსევა. სემიანები თუმცა ამ ხანებში ჯერ კიდევ არ არიან პოლიტიკურად გამარჯვებულები, მაგრამ ფეხი მაინც მტკიცედ ჩაუდგამთ სამხრეთ შუამდინარეში, საცა მალე შეჰქმნეს ბაბილონი და შემდგომ უფრო ჩრდილოეთით ასურეთი, ორივე ეს სამეფოები



კულტურასაც და მწერლობას სუმერთაგან ეზიარეს და მათგან მათგან
ლოს პოლიტიკურად თითონ გაბატონდნენ.

სემიელების ცენტრად იქცა ქალაქი ავადე ანუ აკადი, საიდანაც დაიმორჩილეს მთელი სუმერი. მაგრამ XXV—XXI საუკ. ქრ. წინაღ იწყება სუმერიელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და ერების მეფემ უტუ-ხეგალმა სძლია და განდევნა სემიელები, და სუმირის მეფედ გახდა. ამავე ხანებში იწყება ხელმეორედ გაძლიერება შირპურლა-ლაგაშისა, საცა პატესად იყო გულეა. გულეამ დასტოვა მრავალი შენობები და წარწერები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ის ფართე ეპრობას აწარმოებდა სხვა-და-სხვა ქვეყნებთან, ლიბანიდან მოკიდებული ხმელთა შუა ზღვამდე. გულეას დროს ლაგაში აყვავდა და უკვე 216 ათას მცხოვრებელით იყო დასახლებული.

ერების მეფეებიდან უფლების ჰეგემონია გადავიდა ურის სამთავროს მეფეების ხელში, დაახლოებით XXIV საუკ. როცა ისინი თავის თავს აგრეთვე სუმირის და აკადის, ან ოთხთავე მხარეთა მეფეს უწოდებენ. ურის სამთავროს დინასტია ბატონობდა 117 წლის განმავლობაში. ამ დინასტიის მეფეებმა პატესების უფლებები შეამცირეს, წაართვეს საერო უფლება და ხშირად შეიღოს ან შთამომავლობითი უფლების შექონე პირის მაგივრად პატესობას თავის მომხრეებს ანიჭებდნენ. ამასთანავე იწყება მეფეების ღვთაებრივობის იდეა და ამ დინასტიის მეფეების ძეგლებს ტაძრებში სდგამენ.

ურის დინასტიის ბატონობა დაამსხვრია ელამიტელთა შემოსევამ და დინასტიის უკანასკნელი მეფეც ტყვედ წაიყვანეს. ეს უნდა მომხდარიყო ქრ. წ. XXIII ს. დასაწყისში. ამის შემდგომ სუმირი ნაწილდება და სემიელების შემოხიზენა თან და თან ძლიერდება ისე, რომ უკვე ელამის მიდამოებზეც მათი ახალშენები შენდება და სემიელთა მთიული სამეფოები არსდება.

სუმირის ასეთი დასუსტებით ისარგებლეს ელამიტელებმა, საცა სიმწვავეთ იჩინა თავი უფლების გაერთიანების მისწრაფებამ. იწყება ქალ. სუზის პატესის დაწინაურება და მას უწოდებ-

ბენ ღმერთების მოადგილეს. სუზის პატრესები ხან შშვიდობადა და ხან ომით იმორჩილებენ და აერთებენ ელამიტელთა სამთავროებს. XXIII საუკუნის დასაწყისში კი გაერთიანებული ელამის ძლიერმა მეფემ კულდურნახუნდიმ დაიპყრო მთელი სუმირი. ელამიტელთა სიძლიერე გაგრძელდა რამდენიმე საუკუნე და მე-XX ს. ქრ.წ. სუმირის სხვა და სხვა მთავრები იხსენებიან, როგორც ელამიტელთა ქვეშევრდომები; მაგრამ მე-XX საუკუნეში ბაბილონის მეფე ხამურაბი განუდგა ელამიტელებს, დაამარცხა ისინი შუა მდინარეშიც და ელამშიც, წაართვა ორი სამთავრო-ტუპლიაში და ემუტბალი. ხამურაბი უკიდურესად აძლიერებს მეფის ცენტრალურ უფლებას და მის შემდგომ პატრესების უფლებაც სრულიად ისპობა. მეფე ხამურაბის სიკვდილის შემდგომ სუმერის მეფე რიმ-სინი, ვასალი ელამიტელებისა, შეეცადა ბაბილონის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ.

დამარცხებული ელამიტელები იმედებს მაინც არ ჰკარგავდნენ, და რადგანაც თავის თავს კულდურნახუნდის შემდგომ შუამდინარესი, სირიისა და პალესტინის მემკვიდრეობით მფლობელად სთვლიდნენ, ხშირად ილაშქრებდნენ ბაბილონის და შემდგომ ასურეთის წინააღმდეგ. 1351 წ. მაგალითად ელამის მეფე ხურბატლა შეესია ბაბილონს, მაგრამ დამარცხდა. ელამიტელების დამარცხებით და განდევნით პოლიტიკური ჰეგემონია შუა მდინარეში — ბაბილონში საბოლოოდ გადადის სემიელების ხელში, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სუმერების არა ერთი და ორი დინასტია დამჯდარა ბაბილონის ტახტზე. შეიძლება ითქვას, რომ სემიელებზე ხშირად ბაბილონში სუმერთა, ელამიტელთა, კასსების (კასსიეების), ქალდეების და სხვა მონათესავე ტომების დინასტიას უმეფნია.

რას უწოდებდა თავის თავს ან თავის ქვეყანას ხალხი, რომელიც ელამში სტოვრობდა და ან ერთი თუ რამდენიმე ტომით იყო ელამი დასახლებული-ჯერ გამოკვევული არ არის. თითონ სახელი ელამი სემიურია. წარწერების მიხედვით კი ხალხი თავის-

თავს ხათამთის და ხაფირთის უწოდებდა (ხათამთის წყობილება უდრიდეს ხეთემთისს ხეთ — ებს.) ელამიტელებს მრავალი წარწერები აქვთ დატოვებული, როგორც ლურსმული, ისე ხატოვანი წარწერით, როგორც ელამიტურად, ისე სემიურად. ბოლო ხანებში კი ისინი მხოლოდ საკუთარ ენებზე სწერდნენ, და როგორც სუმერული ანუ იაფეტთან მოდგმის სხვა წარწერები, ჯერ არც ელამურია წაკითხული და ხალხის ცხოვრებასაც ჯერჯერობით კარგად არ ვიცნობთ. ელამიტელები მე-XX საუკუნის ქრ. წ. შემდგომაც ხშირად ძლიერ მონაწილეობას იღებდნენ წინა აზიის ცხოვრებაში და დიდის გავლენით. უკანასკნელად-კი ისინი იხსენებიან 600 წ. ქრ. წ., როცა საბოლოოდ მთისპო მათი დამოუკიდებელი არსებობა.





რად ასტყდა მსოფლიო ომი?



ილი ხანი არ არის, რაც ევროპის მიდამოები მრავალ ადამიანთა სისხლით ირწყვებოდა. ცეცხლსა და რკინას აწვიმებდა საშინელი სამხედრო იარაღი სოფლებსა და ქალაქებს, ნაკარტუტად აქცევდა მთელ ქვეყანას. ყანებისა და მიწდვრების მაგიერ რჩებოდა სანგრებით დათხრილი უდაბნო. მთელ ამ საშინელებას ხალხმა დაარქვა მსოფლიო ომი.

ახლა ომი გათავდა, მაგრამ იმის შედეგს კიდევ აქვს გავლენა კაცობრიობის ცხოვრებაზე. განადგურდა დიდი სახელმწიფოები. დაჰკარგეს ძლიერება ისეთმა სახელმწიფოებმა, რომელთაც მთელი ქვეყნიერება ანგარიშს უწევდა. ყველგან ღელავს ხალხი. ყველგან ატყდა შინაური აჯანყება და ომი, და ამავე დროს ყველგან ცდილობს ხალხი მოაწყოს თავისთვის ახალი ცხოვრება. ყველა ეს ომის შედეგია. თითქოს ვიღაც ბუმბერაზმა დაჰკივლა მქუხარედ ტყეში და შემდეგ დიდხანს გაისმის კორღებსა და ხეებში გამოძახილი.

რისთვის ასტყდა ეს ომი? რისთვის მიესივნენ ერთმანეთს იარაღით ხელში ურიცხვი ადამიანები?

ამბობენ, მსოფლიო ომი იმიტომ ასტყდა, რომ გერმანიისა და ინგლისის მთავრობანი ეცილებოდნენ ერთმანეთს ქვეყნიერების დაპყრობაში; რუსეთი და ავსტრია კი ეცილებოდნენ ერთმანეთს ბალკანეთზე გავლენის მოსაპოვებლად.

მაგრამ რატომ სწორედ ახლა მოხდა, რომ ამ შეუღლმა



ქართული
ენათმეცნიერება

გამოიწვია ჯერ არავისგან უნახავი საშინელი სისხლის ღვრა? რატომ მოხდა, რომ ამ ომს ასეთი საზარელი სანახაობა ჰქონდა, ასეთი ცვლილება მოახდინა მთელ მსოფლიოში, როგორც არ მოუხდენია არც ერთ ომს კაცობრიობის ისტორიაში?

ამ მსოფლიო ომის მიზეზების გასაგებად საჭიროა დაუკვირდეთ, თუ როგორ ცხოვრობდა კაცობრიობა იმ წუთს, როდესაც ომი ასტყდა.

წინად ყოველი ვაჭარი, ყოველი მრეწველი მეტოქეობას უწევდა სხვა ვაჭრებსა და მრეწველებს ბაზარზე: ე. ი. ცდილობდა ისე გაეყიდა თავისი საქონელი, რომ რაც შეიძლება მეტი მოეგო და არ მიეცა საშვალეობა მეტოქესათვის მისი საქონელი ბაზრიდან გამოეძევებინა. ისევე, როგორც იქცეოდნენ კერძო კაპიტალისტები, იქცეოდნენ ერთად სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტები: ინგლისის კაპიტალისტებს არ უნდოდათ დაეთმოთ ვაჭრობა გერმანელ კაპიტალისტებისათვის, გერმანელებს—ფრანგებისათვის, ფრანგებს—ამერიკელებისათვის და სხვა. აქედან წარმოსდგა ბრძოლა დიდი სახელმწიფოებისა ბაზრებისა და კოლონიებისათვის. ყოველი მათგანი სცდილობდა ჩაეგდო ხელში მეტი ქვეყნები, სადაც ხალხს ესაჭიროებოდა ევროპიელთა ნამუშევარი; სცდილობდა არ დაეთმო ვაჭრობა თავის მოცილეებისათვის. ეს იყო უმთავრესი მიზეზი ომისა და სახელმწიფოთა შორის შეტაკებისა ევროპასა, აზიასა და ამერიკაში გასული საუკუნის დამდეგს. გასული საუკუნის მიწურულში კი განათლებულ ხალხთა ცხოვრებაში ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა: მიწების, ქარხნების, მალაზიების, გემების და რკინის გზების უმრავლესობა რამდენიმე სავაჭრო კამპანიის ხელში მოხვდა; უმთავრესად ბანკებმა ჩაიგდეს ხელში მთელი ვაჭრობა-მრეწველობა ევროპასა, ამერიკასა და აზიაში. ლონდონსა, პარიზსა, ბერლინსა და ნიუ-იორკში უმთავრეს ქუჩებზე აღიმართნენ ზეცისაკენ ვეება მრავალსართულიანი სახლები, სადაც დღე გამელელ-გამომელელთა თვალს იტაცებდა მალაზიების უზარმაზარ, მთლიან ფანჯ-

რებში გამოფენილი, მთელი მსოფლიოს სხვა-და-სხვა კუთხიდან მოტანილი, საქონელი; ღამე კი ეს სანახაობა ურიცხვი ფერადი ელექტრონის ლამპრებით იყო განათებული. ამ მსოფლიო, უნივერსალურ მაღაზიებში თქვენ შეგეძლოთ გეყიდნათ ყველაფერი, რაც გასურდათ: ავტომობილებიდან დაწყებული—უბრალო ნემსამდის, ძველ სურათებიდან—ცხენის ჯოგამდის, რომელიც სადმე შორს ქვეყანაში საძოვარზე ბალახსა სძოვდა.

ვინმე მდიდარი კაცი შევიდოდა ამისთანა მაღაზიაში, ესთქვათ—ლონდონში, და იტყოდა:—მე მსურს ვიყიდო ერთი ნაჭერი მიწა შუაგულ აფრიკასა, სამხრეთ ამერიკასა, ციმბირსა ან იაპონიაში; მე უნდა მქონდეს ამ ადგილას სახლი, გაშენებული ბაღი და ბოსტანი; უნდა მყავდეს მოსამსახურეები; მე უნდა შევიძინო მთელი საოჯახო ჭურჭელი და ავეჯი ჩემ ახალ სახლისათვის; მე მჭირია ავტომობილი და ეტლი ცხენებით, რომ ვისეირნო ჩემს მამულში; ყველა ეს—ჭურჭელი, ავეჯი, ეტლი, ცხენები და მოსამსახურეები უნდა გაგზავნოთ იქ, ჩემს მამულში; როცა მივალ, იქ უნდა დამხედნენ; უნდა მიყიდოთ საგზაო ბილეთები ჩემთვისა და ჩემ ცოლშვილისათვის.

— რა ზომის მიწა გჭირიათ?—ეკითხებოდა მდიდარ მუშტარს მაღაზიის ნოქარი:—რანაირ გვგმაზე უნდა იყოს აშენებული სახლი, რამდენი ოთახი უნდა იყოს შიგა და რამდენსართულიანი სახლი გჭირიათ; რა მასალისაგან უნდა იყოს ეს სახლი აშენებული, —ხისა, რკინისა თუ ქვისაგან? რამ სიდიდე ბაღი გჭირიათ, და რა-და-რა ყვავილები გიყვართ? მოგვეცემთ თუ არა სიას თქვენთვის საჭირო ჭურჭლისა და ავეჯისა, თუ ჩვენ თვითონ ავარჩიოთ ჩვენს გემოვნებაზე? რამდენი მოსამსახურე გჭირდებათ?

როცა ყველა ამ შეკითხვაზე პასუხს მიიღებდა, ნოქარი ეუბნებოდა მდიდარ მუშტარს:—ამდენი და ამდენი ელირებაო. თუ მუშტარი თანახმა იყო, ერთი წუთის შემდეგ ამუშავდებოდა ტელეფონი, იგზავნებოდა ბრძანება საწყობებში,



რომ ამდენი და ამდენი სხვა-და-სხვა ნივთი მოეტანათ გემების სადგურზე; ტელეგრაფით კი მიჰქროდა ბრძანება ამერიკასა, ან აფრიკაში, რომ დანიშნულ ადგილას გაეგზავნათ ინჟინერები და მუშები, რკინა და ხე, ყოველნაირი საჭირო მასალა. შენობის აშაგებად და საჩქაროდ გაეგზავნათ იქ მებღებლის გასაშენებლად. თუ დანიშნულ დროს პატრონი მივიდოდა თავის მამულში, რომელიც ჯერ თვალთ არ ენახა, მოწყობილ სახლში დიდხანია ელოდნენ პატრონს მოსამსახურეები. და რომ მოენდომა გასეირნება თავის მამულში, იმ წამსვე მზართმევედნენ ცხრა-მთას იქიდან ჩამოტანილ ტუტომობილს.

უნივერსალურ მალაზიას ეადგილებოდა ყველა ამის შესრულება: მის განკარგულებაში იყვნენ ურიცხვი აგენტები მთელი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში; მის განკარგულებაში იყო ქარხნები სხვა-და-სხვა ნივთების დასამუშავებლად; ჰქონდა თავისი კანტორები და მალაზიები. მთელ მსოფლიოში ათასობით და ათი-ათასობით მუშები მისთვის მუშაობდნენ. და ეს ასე იყო იმითომ, რომ თვით მალაზიები, ქარხნები, გემები და რკინის გზები, რომლებიც მისთვის მუშაობდნენ და ზიდავდნენ შეკვეთილ მასალას, ბანკების ერთ რაღაცა ჯგუფის განკარგულებაში იყო.

გერმანიის, ინგლისის და ამერიკის მთელი ეაქრობა-მრეწველობა ნამდვილად რამდენიმე ასი ბანკირის ხელში იყო; და ამ უფვირგვირო შეფეებს შორის სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული. და ეს არ იყო მხოლოდ ბრძოლა ბაზრისათვის, როგორც ამ ასი წლის წინად; ეს იყო ბრძოლა მთელ მსოფლიოში ბრძანებლობისათვის.

ავიღოთ მაგალითად ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები:

ამერიკის შეერთებულ შტატების გვერდით არის რესპუბლიკა მექსიკა. ამ რესპუბლიკას ჰყავს მთავრობა, ხარი, მინისტრები — ყველაფერი, რაც დაწესებულია დამოუკიდებელ



სახელმწიფოში, მაგრამ აი რა არის საინტერესო: რამდენიმე წლის წინად გადაიკვილა ამერიკელი მილიარდერი ჰარრიმანი. როგორ გაუჭვირდა ყველას, როცა გაიგეს, რომ იმან უანდერძა თავის მემკვიდრეებს... მექსიკა.

აღმოჩნდა, რომ ყველა რყინის გზები ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ჰარრიმანს ეკუთვნოდა; მის ხელში იყო მექსიკის ევროპელის მადნების უდიდესი ნაწილი; აუარებელი მიწები, ჯოგები ეკუთვნოდა ამ მილიარდერს. აღმოჩნდა, რომ მექსიკის მთელი მთავრობა მისგან დაჭირავებული იყო, ჯამაგირს ის ამღვედა. მექსიკის მთელ ჯარს ის ინახავდა თავის ხარჯით. ერთი სიტყვით—მთელი ეს ქვეყანა ჰარრიმანის მამულს წარმოადგენდა.

მექსიკის ახლოს იყო პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფო პანამა. და აი ერთხელ გამოჩნდა იქ ამერიკის შეერთებულ შტატების ჯარი, მათი ინტენერები მოხელეები, და გამოუცხადეს ხალხს, რომ არავითარი დამოუკიდებელი პანამა არ არსებობს, არის მხოლოდ ნაწილი, პროვინცია შეერთებულ შტატებისა.

ასეა გახდა, რომ პანამაში ყველაფერი შეერთებულ შტატების კაპიტალისტების ხელში იყო; და უკვე იმიტომ, რომ პანამა ნამდვილად იმათ ხელში იყო, პანამაში მცხოვრებ ხალხს არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ადვილად შეურიგდა თავის ვითომ და დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ამ წამად შეერთებული შტატების კაპიტალისტები მედრად იბრძვიან იმისთვის, რომ მთელი სამხრეთი ამერიკა ხელში ჩაიგდონ. ევროპის კაპიტალისტები იმათ შურის თვალთ უყურებენ. ინგლისელები—მექსიკაში, გერმანელები—სამხრეთ ამერიკაში ყოველნაირად ხელს უწყობენ იმ ხალხს, რომელიც შეერთებულ შტატების პოლიტიკით კმაყოფილი არ არის, სკდილობენ თავის ხელში ჩაიგდონ ყველაფერი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.

აზიასა და აფრიკაში საქმე სხვანაირად იყო მოწყობილი:



ქვეყნული
2022 წლის 10 თვე

იქ სხვა-და-სხვა ქვეყნების კაპიტალისტები დაუღალავად ებრძოდნენ ერთმანეთს, რათა ამ ქვეყნებში მცხოვრები ჩამორჩენილი ხალხი თავის ხელში ჩაეგდოთ. ეს ბრძოლა ორი გზით სწარმოებდა: ბრძოლა რკინის გზებისთვის და ბრძოლა გავლენის სფეროსთვის (თავის უფლების გამტკიცება). ვისაც რკინის გზა ეკუთვნის ამა თუ იმ ქვეყანაში, ის მთელ იმ ქვეყანას ეუფლება, სადაც ეს რკინის გზა გაყვანილი; იმას შეუძლია შეიტანოს იქ თავისი საქონელი და გაიტანოს, რაც მოესურვება, არ შემოატანიოს სხვებს მათი საქონელი, დააბრკოლოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარება, რადგან არ შემოატანიებს ამისთვის საჭირო მანქანებს; ამნაირად მთელი ეს ქვეყანა მისგან გახდება დამოკიდებული.

ადვილი გასაგებია, რად სკდილობდნენ ასე ევროპის და ამერიკის ბანკორები ხელში ჩაეგდოთ რკინის გზები აზიასა და აფრიკაში. სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა უკანასკნელ ხანებში აფრიკის მთელ სიგრძეზე რკინის გზის გაყვანისა და იმ რკინის გზებისთვის, რომლითაც ევროპის ცენტრი (შუაგული) აზიის ცენტრთანაა შეერთებული. აფრიკაში გაიმარჯვეს ინგლისელებმა, აზიაში კი—გერმანელებმა. ინგლისის კაპიტალისტებმა ხელში ჩაიგდეს უფლება აფრიკაში რკინის გზის აშენებისა, გერმანელებმა კი—ბერლინიდან ბაგდადში რკინის გზის გაყვანისა.

ბრძოლა გავლენის სფეროსათვის აი რას ნიშნავდა: რომელიმე ძლიერი სახელმწიფო ხელში ჩაიგდებდა უცხო სახელმწიფოს ერთ ნაწილს და ამბობდა—ეს ჩემია, ნურავინ გაბედავს აქ შემოსვლასაო; სამაგიეროდ მე არ შევალ იმ ადგილებში, რომელთაც სხვები ჩაიგდებენ ხელშიო. ამ დაფლობილ ადგილებს „გავლენის სფეროებს“ უძახოდნენ. ყოველი დამპყრობელი სკდილობდა გაეფართოვებინა თავისი და შეემცირებინა სხვების გავლენის სფერო;—აქედან წარმოსდგა დაუსრულებელი ბრძოლა-კინკლაობა დიდ სახელმწიფოებისა სპარსეთსა, ჩინეთსა და აფრიკაში.

კაპიტალისტებისაგან ამნაირად დაპყრობილ ქვეყნებს ვა-
და იყო ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყნები. ასეთი იყო მაგა-
ლითად რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი. პირველ ხანებში ეს
ორი ქვეყანა გერმანიისაგან იყო დამოკიდებული, შემდეგ კი
რუსეთი საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტების გავლენ-
ას დაემორჩილა.

როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს სათავეში ერთი ჯგუფი
დგას, მთავრობა ხელში უჭირავს, მოწინააღმდეგენი გაანადგუროს,
მაშინ ამ ჯგუფს ადვილად შეუძლია გაიტაცოს და ჩაითრიოს
მთელი ხალხი. ამ დროს მსოფლიო ომი აუცილებელია. და
აი ასტყდა მსოფლიო ომიც. იგი ბალკანეთში დაიწყო, რო-
გორც შესაძლო იყო ჩინეთსა, ან სპარსეთში დაწყებულიყო.

ასტყდა მსოფლიო ომი. და მხოლოდ ახლა, როცა ხალ-
ხი მილიონობით დაწყდა და დასახიჩრდა, როცა განადგურე-
ბულია აყვავებული ადგილები, როცა ომს მოჰყვა შიმშილი,
სნეულება და მოისპო მრეწველობა, ხალხი გულის წუხილით
მიხვდა, რომ არა თავის თავს, არამედ ბანკირების ერთი ჯგუ-
ფის ინტერესებს ემსახურებოდა, ემსახურებოდა იმ ადამიანებს,
რომელთაც უნდოდათ ხალხის სისხლით მთელ მსოფლიოში
თავისი უფლებების გამტკიცება. დაფიქრდნენ ხალხნი და დაიწ-
ყეს თავისთვის ახალი ცხოვრების შენება. როგორ მიჰყავთ ეს
საქმე—ამაზე შემდეგ მოგელაპარაკებით.

ლ. კრემერი.


(შემდეგი იქნება)





ბედის მაძიებელი.

(ოგავი)



იმშობის გამო ქვეყანა დიდ გაჭირებაში ჩაეარდა: ჩიოდა დიდი და პატარა, ატირდა ობოლი და ქერივ-ობერი. ძნელად საშოვარ პურს წარმოუდგენელი, ზღაპრული ფასი დაედო. უჭონელი კაცი მთლად მიწასთან გასწორდა; თუ ვინმე პურიანი იყო, დიდ სიმდიდრეს მოეწია.

გამდიდრების ეინმა აიტანა ერთი ღარიბი გლეხი; იფიქრა: „თუ თავში ჭკვა მომეპოვება, ჩემი აშენების ღრო და ეამი აბა ახლა დადგაო; მკლავში ღონე მე არ მაქვია და მუხლში—არაქათი; წაეალ, ვიმუშავებ, პურს ვიშოვი, პურს გავყიდი და მდიდარი შევიქნებიო“.

ადგა, თავისი სოფელი მიატოვა და მეორეში გადავიდა ბედის საძიებლად. შეხვდა ერთ მგზავრს და შეევედრა:

— შენ სადღეგრძელოდ, სამუშაოს ვეძებ, ისეთი მეკომური მასწავლე, რომ პურით მდიდარი იყოსო. —

— კარგო, — მიუგო მგზავრმა და, მართლაც, დაუსახელა ისეთი ოჯახი, რომელსაც აუარებელი პური და სამუშაო ჰქონდა. დადგა ეს გლეხი მუშად; მხოლოდ შრომის ფასში პირო-

ბით იმდენი ხორბალი გამოსთხოვა, რამდენის ზურგზე დადებდა და თავის სახლამდე გადატანას შესძლებდა.

როცა სამუშაო შეასრულა, გლეხმა იშოვა უშველელი ზომის ტომარა, ხარბად გაავსო პურით და, სხეების დახმარებით, როგორც იყო, ზურგზე წამოიკიდა. წაიღო თავის სოფლისკენ ოფლის დენით, ბენეშით და მუხლების კანკალით; ძლივს მიაღწია სახლამდის, მაგრამ—ვაი იმ მიღწევას: ტომარის სიმძიმისაგან უცბად დაზიანებულმა ძლივს-ღა მოასწრო ტვირთის მოხსნა, დაეცა მიწაზე და საბრალომ იქვე სული დალია.

აღ. მირიანაშვილი.





მეფე და მისი ვაჟი.

(ივანე-არაქი საბა-სულხან-ორბელიანისა)



რთი მეფე სცხოვრობდა,
ჩაგრულთ ნუგეშის მცემი,
მოსაპართლევ, მოწყალე,
მტერთა რისხვის დამცემი;

როცა ძლიერ მოხუცდა,
მან ვაჟი დაიბარა,
დაულოცა მას ტახტი,
შეფობა ჩააბარა;

უთხრა: „შვილო, მეფისთვის
კარგია სულგრძელობა;
გქონდეს სიბრძნე, გზირობა,
სიუხვე და ქველობა;

„იყავ ჩაგრულთ მფარველი,
გლახაკთა გამკითხავი,
ამას გარდა ერთსაც გთხოვ—
ეს სიკეთე მიყავი:

„სანამდი ცოცხალი ვარ,
ჩემ განძს ხელი არ ახლო,
და რომ მოვწყდე ამ სოფელს,
საფლავში ჩავესახლო,



„ყოველგვარ სიკეთის ქნა
 სიკაცხლეში სჯობია,
 ჭველობა და სილაღე
 ყოფნის შემამკობია;

„თორემ სიკვდილის შემდეგ
 სიმდიდრე გაცემული,
 ლამპარია ღამეში—
 უკან მიღებებული.

ილ. სიხარულიძე.





— მკითხველის — — წერილები. —

დედა და შვილი.

I.



ამთრის სუსხიანი ღამე იყო. ცა ძალზე მოკრიალებული სჩანდა, და ამიტომ უფრო ციოდა. ყველა სულდგმულს თავი ღრმა ძილისათვის მიეცა. რასაკვირველია ამ ღროს ქალაქსაც ეძინა. არსად სინათლე არ მოსჩანდა; მხოლოდ მთვარე ანათებდა ბნელ ქუჩებს. იგი შედიღურად დასცურავდა თავის საბრძანებელში და სდარაჯობდა მას.

თოვლი სქლად იღო მიწაზე და ზედ ცხადად სჩანდა ადამიანის ფეხის კვალი.

ამ ღროს გაისმა ფეხის ხმა და გამოჩნდა დედაკაცი; იმას დიდის სიფრთხილით რაღაც ეჭირა ხელში.

— ეინ იყო ის? — იკით ეინ? — მათხოვარი მართა თავისი წლი-ნახევრის ბიკით.

გამუდმებულო მათხოვრობით მან მოაბეზრა თავი მეზობლებს. მართას მოუყვდა ქმარი და მეგობარი, მეეზოვე, რომელიც თავისი მკირე ჯამაგირით არჩენდა ცოლ-შვილს. რაც ის მოუყვდა, სიხარული აღარ მიჰკარებია მართას გულს. იგი განიკდიდა საშინელო გაქირებებს და იძულებული იყო ემათხოვრნა.

განა თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, რასა გრძნობდა მართა, როდესაც პირველად გაუწოდა ხალხს ხელი სამათხოვროდ?



როგორ ეთაკლებოდა უმუშევრად ფულის აღება; მაგრამ რა ექნა საწყალს?!

გავიდა დრო. მობეზრდა მაწინწალა მართა ყველას და დაუწყეს უწყალო დაკინევა. არც ეს აკმარეს: ქუჩის ბიჭ-ბუჭები გამოუდგებოდნენ ქვებით და უსევდნენ ძაღლებს. მართა დიდი ხანია მიხვდა, რომ იგი ამ ქვეყნად მეტი ბარგი იყო. მას არაფრად მიაჩნდა სიკვდილი, სიხარულითაც მიეგებებოდა, მაგრამ რა ექნა პატარა ბიჭუქასთვის, რომელიც სიცოცხლეს მხოლოდ ახლა იწყებდა? ვანა ჰქონდა უფლება მართას მოესპო სიცოცხლე უმანკო არსებისათვის?

შეშინებული მართა თავის უბნელებს თითქმის ჭლარც კი ეკარებოდა: უფრთხოდა მეზობლებს, — გამოდიოდა განთიადისას და ბრუნდებოდა ღამე.

ერთ ღამეს იგი მიეგდო ვიღაცას სახლის კიბეზე და ღრმად ჩაეძინა. როდესაც გამოეღვიძა, განთიადი მოახლოებული იყო. მართა გრძნობდა საშინელ სიმშინელს. სახლში კი მას არაფერი არ ჰქონდა. თხოვნა აღარ შეეძლო. მან აშკარად ღონახა, რომ უნდა სიმშინელით მომკვდარიყო, თუ არ ითხოვდა ჰურს. ამასობაში გათენდა კიდეც, და მართა მომავლის იმედით შევიდა ერთს ეზოში.

II.

ქ-ნი ეკატერინე დიდი ხანია ქმრიანი იყო, მაგრამ შვილი არა ჰყავდა. იგი სცხოვრობდა ძალიან მდიდრად, მშვენიერ სახლში. მაგრამ იგი არ იყო ბედნიერი, და სულითა და გულით უნდოდა, რომ ბავშვი ჰყოლოდა. რადგან ექიმმა გადაჭრით უთხრა, რომ მას შვილი არ ეყოლებოდა, გადასწყვიტა ეშვილ-ნა ვისიმე ბავშვი.

სწორედ იმ დროს შევიდა მართა ქ-ნ ეკატერინეს ეზოში, როდესაც იგი, თბილად ჩაფუთნული, გადაჰყუდებოდა აივნის მოაჯირს და უმზერდა თავის თოვლით მოფენილ ბაღს.

— მოიღეთ მოწყალება, ნუ მომკლავთ მშვიერს! — გაისმა საცოდავი ხმა მართასი.

ეკატერინემ უბრძანა საჩქაროდ მოეტანათ მათხოვრისათვის ცხელი პური და ყველი. მართას ყველის და პურის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა და უნებურად გაიღიმა. მსწრაფლ თითქო რაღაც მოაგონდა, მიჰვიარდა ქალბატონის ხელებს და დაუწყო გატაცებით კოცნა.

— ბავშვი შენია? — შეეკითხა ალერსიანი ხმით ქალბატონი.

— ჩემი ვახლავთ, — უპასუხა მართამ ნალღლიანად.

— შერე რად გინდა მაგ გაქირვებაში მყოფს? არა სჯობს მე მომცე; მე მაგას ვიშვილებ და აღვზრდი. შენ კიდევ თავისუფლად იმუშავე.

მართა სიხარულისაგან თითქო გაშტერდა. ვერ მოეფიქრა — ვის წინ იდგა. უცებ დაეცა მუხლებზე და დაუწყო კოცნა ეკატერინეს მუხლებს. სიხარულისა და იმავე დროს მწუხარების მზურვალე სრემლები უხვად ჩამოსდიოდა ლოყებზე.

ერთ წამს შემდეგ მართამ გადასცა ბავშვი ქალბატონს. უკანასკნელმა დასვა იგი ტახტზე და გაჰქანდა სიხარულით ოთახისაკენ.

მართა დაფიქრდა. გაითვალისწინა თავისი სიციცხლე უბავშვოთ, და თითქოს თავს მეხი დაეცა. იგი საჩქაროდ მივიარდა ბავშვს, ჩაიკრა გულში და მოჰკურცხლა ვერის ხიდისაკენ.

მეორე დღეს იპოვნეს მტკვრის პირას გამოორიყული გვამები: დადაკაცისა, რომელსაც გულში ჩაკრული ჰყავდა პატარა ბავშვი.

მკითხველი უმკველია მიხვდება, ვინ იყვნენ ისინი.

მოწაფე გ. რაზმაძე.



შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. კავკაზის ვზა — სურ.	1
2. სურათი სოფლად, — ლექსი მამქრადისა	3
3. კონტრრევოლიუციონერი, — ღაგ. კასრადისა	4
4. გაზაფხული, — ლექსი ი. სანარუდიასა	13
5. ქართლის ტრაგედია, — ნქვიტისა	15
6. ლურჯი ფრინველი, — ფერია 6 მოქ. ტ 12 სურ. (შემდეგი) შ. შუტკრდიანისა, ფრანგულით გარგი ჯახადრისა.	17
7. ტირიფი, — ლექსი იღ. გოგასა	27
8. ნიჭიერი ბავშვის თბვადსავალი, — ნიკ. დარაშვილისა	29
9. ქართველების უძველეს ისტორიიდან, — იოს. ანთადისა	36
10. რად ასტყდა მსოფლიო ომი, — ღ. კრემკრასა	49
X 11. ბელის მამიებელი, — იგავი ად. შირიანაშვილისა	56
12. მეფე და მისი ვაჟი, — (იგავი) იღ. სანარუდიასა	58
13. მკითხველების წერილები	61



მიიღება ხელის მოწვევით

1920

წლისათვის

დასურათებული

საჟიანო პურნალი „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტი)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტრო-საგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგან-გებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
" " მოზრდილთათვის " ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150 მან.
ცბლ-ცბლკე	85 "
ნახევარი წლით	90 "

მისამართი: თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი კოლაფინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემო-სასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.